



2009 წელი, 25 ივნისი

ფასი 90 თეთრი

ახალი განათლებს

№24 (458) გამოდის 1998 წლიდან



„ახალი განათლების“ მკითხველთა საყურადღებოდ სასკოლო არდადეგებთან დაკავშირებით გაზეთის გამოცემა შეწყდება 2009-2010 სასწავლო წლის განახლებამდე

შეგახსენებთ, რომ „ახალი განათლების“ გამონერის მსურველებმა სექტემბერ-დეკემბრის ხელმოწერის თანხა – 14 ლარი 40 თეთრი – უნდა ჩარიცხონ ჩვენს რეკვიზიტებზე: საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი

ს/კ – 220 058 735

ბ/კ – 220 101 502

ა/ა – 123 631 000

ხელმოწერ სკოლებს და კერძო პირებს, თბილისის მასშტაბით, გაზეთი მიეწოდებათ მათ მიერ მითითებულ მისამართზე, რაიონებში – საგანმანათლებლო რესურსცენტრებში.

„ახალი განათლების“ რედაქცია



ტრადიციული კონკურსი

პროექტი „**გვითხულობთ რუსთაველს**“ წელს მეექვსედ განხორციელდა. 18 ივნისს, №1 საჯარო სკოლაში, ქვეყნის მასშტაბით, 100-მდე მკითხველმა მოიყარა თავი. რეგიონებიდან ჩამოსული განსაკუთრებით ხიბლავდა კლასიკურ გიმნაზიაში დავანებული „სიმფონიური“, ტაქტის „საბედისწერო“ კიბე თუ „განძისაცავი“ – დარბაზი-ბიბლიოთეკა, რასაც პარალელურად ენაცვლებოდა თანამედროვედ აღჭურვილი სააქტო დარბაზი და იქ გამეფებული ქართული სულის ზეიმი, ყოველივე არამც და არამც არ ესატყვისებოდა ხვედრდოვან ფარდებს მიღმა დარჩენილ სინამდვილეს – საკნებსა და ნირნამხდარ რუსთაველის გამზირს.



ლონისძეების დაწყებამდე გაფაციცებით ვადევნებდი თვალყურს სტუმრებსა თუ ჟიურის წევრებს, აფორიაქებულ კონკურსანტებსა თუ მათ გულშემატკივრებს – მასწავლებლებსა და მშობლებს, ვფიქრობდი – რაღა მაინცდამაინც №1 სკოლაში, რამე რომ მოხდეს?!... და ვარწმუნებდი თავს, სწორედ ახლა და აქ გვეჭირდებოდა რუსთაველის სიბრძნის კიდევ ერთხელ წარმოქმნა და გახსენება.

ზო ადგილები შემდეგნაირად წარმოგვიდგინა:
 I – თბილისის №166 ს/ს – **ნატა სვანიძე** (X კლასი);
 II – თბილისის №150 ს/ს – **ნათია ჯაჯანიძე** (VII კლასი);
 III – თბილისის №159 ს/ს – **გიორგი მაჭარაშვილი** (IX კლასი).
 სპეციალური პრიზი – „საუკეთესო მკითხველი პედაგოგი“ –

გარდაბნის რაიონის გამარჯვების საჯარო სკოლის მასწავლებელი **ეკა ქვრივიშვილი**.
 ნომინაცია „**გაცოცხლებული სიუჟეტი**“
 I – ხარაგაულის №3 ს/ს – **მარიამ ბარამიძე** (XI კლასი);
 II – თბილისის №166 ს/ს – **მარიამ ნიკოლაიშვილი** (VIII კლასი);
 III – თბილისის №37 ს/ს – **ანა ზალიანი** (IX კლასი).
 ნომინაცია „**ორიგინალური გადაწყვეტა**“
 I – ხარაგაულის რაიონის ღორეშის ს/ს – **ანა ორჯონიკიძე** (VI კლასი);
 II – თბილისის №37 ს/ს – **მარიამ**

კვარაცხელია (V კლასი).
 ნომინაცია „**შემოქმედებითი ინდივიდუალობისათვის**“
 I – თბილისის №100 ს/ს – **ხათუნა ბუსკივაძე**;
 II – ხარაგაულის რაიონის სალანდილის ს/ს – **თამარ სარალიძე**;
 III – ბაღდათის რაიონის ბაღდათის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი – **მარი რობაქიძე**.
 ნომინაცია „**ტექსტის გააზრებული მკითხველი**“
 I – თბილისის №173 ს/ს – **გიორგი შატკიშვილი** (II კლასი);
 II – თბილისის №186 ს/ს – **მარიამ მუზაშვილი** (V კლასი);
 III – თბილისის №4 ს/ს – **ანა ხუ-**

ბუა (II კლასი).
 ნომინაცია „**გარდასახვა**“
 I – საჩხერის №2 ს/ს – **ანდრო გელაზიანი** (III კლასი);
 II – საჩხერის №2 ს/ს – **თამაზ კომლაძე** (IV კლასი);
 III – საჩხერის №2 ს/ს – **მარიამ მაკრომატი** (VI კლასი);
 IV – საჩხერის №2 ს/ს – **მარიამ მულაშვილი** (VI კლასი).
 ნომინაცია „**დილოგი**“
 თბილისის №115 ს/ს – **გიორგი კრავიშვილი** და **დიმიტრი ნივილაშვილი** (VIII კლასი).
 პროექტში ჩართული ყველა სკოლა და მოსწავლე თავისთავად გამარჯვებულია და დაჯილდოვდება სიგელით – ასეთია ამ კონკურსის ტრადიცია და, ასევე, ჟიურის წარმომადგენელთა – მეცნიერთა და პროფესიული საზოგადოების წევრთა აზრი.
მაია ლიპარტელიანი, სპობ-ის ვიცე-პრეზიდენტი: „ასეთი კონკურსები, მასწავლებელთა და მოსწავლეთა ერთობლივი ღონისძიებები, რაც შეიძლება ხშირად უნდა ტარდებოდეს. სიტყვიერების ხელოვნება საქმიანობა უფრო საგრძობია, როცა ასეთი მასშტაბით ხორციელდება. მჭევრმეტყველნიც და მთქმელნიც სკოლის კედლებში იშვება. ვულოცავ ასეთ აღიარებას პროექტის ხელმძღვანელს, თბილისის №24-ე საჯარო სკოლის მასწავლებელს და ჩვენი საზოგადოების ერთ-ერთ ლიდერს, **თამარ ბარი-საშვილს**.
 კონკურსისათვის საჭირო ყველა პირობის შექმნისათვის მადლობას ვუხდით №1 საჯარო სკოლის დირექტორს, **ლელა ნიქარიშვილს**.
 პროფესიული კავშირი ყოველთვის წაახალისებს ამგვარ საქმიანობას.“
მარინა ბენიძე



საჯარო სამსახურების დამოზოგადების პირველი პროექტის (TWINNING) განხორციელება იწყება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო **პირველი საჯარო უწყებებსა** საქართველოში, რომელიც გერმანიის განათლებისა და კვლევის სამინისტროსთან და საფრანგეთის პედაგოგიური სწავლების საერთაშორისო ცენტრთან ერთად იწყებს ერთობლივ პროექტს: „**საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემისა და ადამიანური რესურსების გაძლიერება ბოლონის პროცესის რეფორმების განსახორციელებლად**“.

საჯარო სამსახურების დამოზოგადების პროგრამის ფარგლებში განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ითანამშრომლებს ორი პარტნიორი ქვეყნის ანალოგიურ უწყებებთან. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საქართველოს საჯარო სამსახურის მოდერნიზაცია, სწავლებისა და რეორგანიზაციის, ასევე, ევროკავშირის კანონმდებლობის, სამართლებრივი ნორმებისა და სტანდარტების მიხედვით კანონებისა და მარეგულირებელი ნორმების შექმნის ან მათი შემდგომი სრულყოფის გზით.
 პროექტი 2-წლიანია და ევროკავშირის დაფინანსებით ხორციელდება. 2 წლის განმავლობაში საქართველოში ჩამოვლენ ფრან-

გი და გერმანელი ექსპერტები, რომლებიც ქართველ კოლეგებთან ერთად იმუშავენ უმაღლესი განათლების სფეროს პრიორიტეტულ რეფორმებზე ბოლონის პროცესის ფარგლებში.
 საქართველო ბოლონის პროცესის წევრად 40 ქვეყნის უმაღლესი განათლების მინისტრებმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა, 2005 წლის 19-20 მაისს, ნორვეგიის ქ. ბერგენში აღიარეს. ამით საქართველოს უმაღლესი განათლების რეფორმამ საერთაშორისო განზომილება შეიძინა.
 უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ინტეგრაციის მიზით, საქართველომ წარმატებული ნაბიჯები გადადგა: დაინერგა

სამსაფხურიანი უმაღლესი განათლება (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა), 2004 წელს პირველად ჩატარდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინსტიტუციური აკრედიტაცია; უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დაინერგა ჩარიცხვის გამჭვირვალე და ობიექტური სისტემა – 2005 წელს პირველად ჩატარდა ერთიანი ეროვნული გამოცდები; მკვეთრად გაიზარდა განათლების დაფინანსება, შემოღებულ იქნა სტუდენტური სესხები და გრანტები; უმაღლეს სასწავლებლებში დაიწყო განათლებისა და კვლევის ინტეგრაციის პროცესი და ა.შ.

პროექტი წიგნის „მეგობარი“



19 ივნისს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, ნიკა გვარამიამ პროექტ „წიგნის მეგობრები“ მონაწილეებს სერტიფიკატი გადასცა.

საპილოტე პროექტი „წიგნის მეგობარი“ თბილისის 4 სკოლაში იწერება და მასში 300-მდე უმცროსკლასელია ჩართული.

პროექტის მიზანია, ბავშვებს განუვითაროს კითხვის, მოსმენისა და ნაკითხულის გააზრების უნარები, ხელი შეუწყოს წიგნიერების და კითხვის პოპულარიზაციას.

პროექტის კონცეფციის მიხედვით, უფროსკლასელები, სტუდენტები, მწერლები და სხვა მოხალისეები უმცროსკლასელებს უკითხავენ კლასგარეშე ლიტერატურას, რის შემდეგაც იმართება დისკუსია ნაკითხული მასალის ირგვლივ.

სექტემბრიდან პროექტში ყველა ის სკოლა ჩაერთვება, რომელიც მასში მონაწილეობის სურვილს გამოთქვამს.

პროექტს „წიგნის მეგობარი“ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი ახორციელებს.

ამავე დღეს, საბავშვო მწერალმა, ტარიელ ხავთასმა 54-ე საჯარო სკოლის უმცროსკლასელებს კითხვის გაკვეთილი ჩაუტარა.



შანტალ ბალთაზარი: „მე მიყვარს საქართველო“

უკვე ათეულ წელზე მეტია, რაც თბილისის 151-ე საჯარო სკოლისა და საფრანგეთის ქ. ნანტის პედაგოგები თანამშრომლობენ და ერთმანეთს გამოცდილებას უზიარებენ. ჩვენი სკოლის ფრანგული ენისა და დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთა ერთი ჯგუფი არის ფრენეს პედაგოგიკის ქართული ასოციაციის წევრი (თბილისში ასოციაცია 2002 წელს დაფუძნდა). ასოციაციის პრეზიდენტი 151-ე საჯარო სკოლის ფრანგული ენის პედაგოგი, **თამარიკო მჭედლიშვილი**. ყოველ წელს ხდება მათი სტაჟირება ნანტის სხვადასხვა სკოლაში და, პირიქით, ფრანგი პედაგოგები ჩამოდიან ჩვენთან, ქართველ კოლეგებთან ერთად ატარებენ გაკვეთილებს და ეცნობიან ფრენეს პედაგოგიკის პრინციპებს. ამ წლების განმავლობაში, ჩვენი სკოლისა და ფრანგ მოსწავლეებს შორის მუდმივად ხდება კორესპონდენციების გაცვლა.



ბალხი, აქ ბევრი მეგობარი მყავს, განსაკუთრებით ალტაცებული ვარ ქართველი დედებით, ამიტომ ვაპირებ, ჩემს ქვეყანაში მოვამზადო რეპორტაჟი - „ქართველი დედის სახე“, - ეს ქალბატონი შანტალის სიტყვებია, წარმოთქმული ფრანგული ენის პედაგოგებთან და მოსწავლეებთან შეხვედრისას.

ამ სიტყვების დასტურია ის ფაქტიც, რომ აგვისტოს ცნობილი მოვლენების შემდეგ, მისი და ფრენეს ასოციაციის სხვა წევრთა ოჯახების თაოსნობით, ნანტში საქველმოქმედო კონცერტი ჩატარდა.

აფშოზე მითითებული იყო, რომ შეგროვოლი თანხა გადაეცემოდა ომის შედეგად დაზარალებულ ქართველ ბავშვებს.

წელს ქალბატონი შანტალი განსაკუთრებული მისიით ჩამოვიდა. როგორც თავად აღნიშნა, ეს მისი პიროვნული გადაწყვეტილება იყო. დაათვალიერა გორი, მონახულა დაზარალებული ოჯახები, გადასცა საჩუქრები, შეაგროვა ფოტომასალა, რათა თავის ქვეყანაში ჩაიტანოს რეალური სურათი იმისა, თუ რა მოხდა საქართველოში. ქალბატონმა შანტალმა საქველმოქმედო კონცერტიდან მიღებული თანხის ნაწილი გადასცა ჩვენი სკოლის იმ მოსწავლეებს, რომლებიც გორიდან და კოდორიდან არიან დევნილები.

ჩვენს სკოლაში ვიზიტისას იგი შეხვდა დირექტორს, **ეკატერინე ხუციშვილს**. საუბრისას ქალბატონმა ეკატერინემ აღნიშნა, რომ მისთვის, როგორც ადმინისტრატორისა და როგორც განათლების სამინისტროს მწვრთნელისთვის, საკმაოდ საინტერესო და მიმზიდველი აღმოჩნდა ფრენეს პედაგოგიკა, რადგან ბევრი საერთო იპოვა რეფორ-



მის მიმართულებებთან. ფრენეს პედაგოგიკა საგანმანათლებლო მოძრაობაა, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა ფრანგმა პედაგოგმა სელესტინ ფრენემ (1896-1966). იგი უარყოფდა სწავლების ტრადიციულ მეთოდებს. მისი პედაგოგიკა „მოსწავლეზე“ ორიენტირებული, მთავარია ბავშვის დამოუკიდებლობა, პედაგოგებსა და მოსწავლეებს შორის კეთილგანწყობა, სწავლის სხვადასხვა მეთოდების გამოყენება, შრომითი ჩვევების დანერგვა.

შემდეგ, ქართველ კოლეგებთან ერთად, მე-3 კლასში ჩაატარა საინტერესო გაკვეთილი, თემაზე: „როგორ აღვძრაოთ კითხვის სურვილი ბავშვებში“. გაკვეთილს ესწრებოდნენ თბილისის სხვადასხვა სკოლის ფრენეს ქართული ასოციაციის წევრი მასწავლებლები, რადგან ეს სამუშაო მიზნად ისახავდა არა მხოლოდ პარალელურ კლასებს შორის, არამედ სკოლებს შორის თანამშრომლობასაც. ქალბატონმა შანტალმა ისაუბრა თემაზე: „როგორ შევქმნათ კლასის ბიბლიოთეკა“. ჩვენმა პედაგოგებმაც გამოთქვეს მოსაზრებები.

დიუმას ფრანგული კულტურის ცენტრში მან ჩაატარა სემინარი თემაზე: „უნარშეზღუდული ბავშ-

ვების სკოლარიზაცია საფრანგეთში“. ამავე საკითხზე იგი შეხვდა და ესაუბრა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამების დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტს, **ეკა დგებუაძეს**.

თბილისის შემდეგ ქალბატონი შანტალი და ჩვენი სკოლის დაწყებითი კლასის პედაგოგი, ფრენეს ქართული ასოციაციის წევრი, **მარინა შუკაკიძე**, სამი დღით, ესტუმრნენ ხაშურის № 7 სკოლას (რომელთანაც ორი წლის მეგობრობა გვაკავშირებს) გამოცდილების უზიარებისა და თანამშრომლობის მიზნით. რამდენიმე დღის შემდეგ კი ფრანგი კოლეგა ახალციხეში უნარშეზღუდულ ბავშვთა სკოლაში გაემგზავრა.

ქალბატონი შანტალი უკვე საფრანგეთშია. მან თან წაიღო ბავშვების წერილები და მოკითხვები საქართველოდან. ჩვენ კი მადლობას ვუხდით მას და იმედს გამოვთქვით, რომ ჩვენი თანამშრომლობა კვლავც ნაყოფიერი იქნება.



ეკატერინე კიკნაველიძე
151-ე საჯარო სკოლის
დაწყებითი საფეხურის
მასწავლებელი



განათლების და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით, 2009-2011 წლებში საქართველოში 22 სკოლა ახალი საგნებულ სტანდარტებით აშენდება. ახალი საგნებულ სტანდარტები და სასკოლო ინფრასტრუქტურა სასწავლო პროცესთან შესაბამისი, ევროპულ სტანდარტებთან მიახლოებული, უსაფრთხო გარემოში ორიენტირებული იქნება.

ეს გულისხმობს ახალი სასკოლო ინფრასტრუქტურის მორგებას და ადაპტირებას სკოლის საჭიროებებთან (საგნებულ მასალას სწორად შეჩვენებულ დაწყებული, სასკოლო შენობის დიზაინით დამთავრებული). სტანდარტები ძალაში თუ სოფლის ყველა რეაბილიტირებულ და ახლადშენებულ სკოლაში დანიშნავა, რითაც იდენტური გარემო იქნება უზრუნველყოფილი საქართველოს ყველა მოსწავლისთვის. სკოლის სტანდარტებისა და საბრუნველ მოთხოვნების შექმნა უკვე იმუშავა და რეკომენდაციები მოამზადა ემსაერტ-არქიტექტორების სპეციალურმა ჯგუფმა, რომლის შედეგადაც არიან ცნობილი არქიტექტორები:

- დავით აბულაძე, არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარე;
- გორა მიქიაშვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
- გიული გიგელია, არქიტექტორთა კავშირის გამგეობის წევრი, პროფესორი;
- ნიკოლოზ აბაშიძე, არქიტექტორთა კავშირის გამგეობის წევრი;
- ლევან ბერიძე, საქართველოს დამსახურებული არქიტექტორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფესორი.

თანამედროვე სკოლის სტანდარტების შექმნაში უცხოელი ექსპერტებიც ჩაერთებებიან. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო საპროექტო სამუშაოებზე ტენდერს ივნისში გამოაცხადებს.

<p>გამომცემლობა "ქართული ბიოგრაფიული ცენტრი" საფარო და კერძო სკოლებს სთავაზობს:</p> <p>ფასდაკლებას 2009-დან 2010 წლამდე ლირებულების სახელმძღვანელოების შექმნისას შეგიძლიათ, ისარგებლოთ 12%-იანი ფასდაკლებით; 2000 ლარზე მეტი ლირებულების სახელმძღვანელოების შექმნისას 15%-იანი ფასდაკლებით.</p>	<p>ავტორები: ნოდარ ელიზბარაშვილი ზურაბ დავითაშვილი ნიკოლოზ ბერუჩაშვილი</p> <p>გვერდების რაოდენობა: 144</p> <p>მოსწავლის ნიგნი მასწავლებლის ნიგნი</p>
<p>განვადებას ხელშეკრულების საფუძველზე სკოლებს შეუძლიათ, ისარგებლონ ერთობლივი უბროცენტო განვადებით.</p>	<p>ავტორები: ნიკოლოზ ბერუჩაშვილი ნოდარ ელიზბარაშვილი</p> <p>გვერდების რაოდენობა: 144</p> <p>მოსწავლის ნიგნი მასწავლებლის ნიგნი</p>
<p>ავტორები: დავით მაღაზონია თამარ მაღაზონია ნინო კვიციანიშვილი</p> <p>გვერდების რაოდენობა: 352</p> <p>მოსწავლის ნიგნი მასწავლებლის ნიგნი</p>	<p>ავტორები: ბონდო კუბატაძე ჯაბა სამუშია</p> <p>გვერდების რაოდენობა: 208</p> <p>მოსწავლის ნიგნი მასწავლებლის ნიგნი</p>
<p>ავტორები: დავით მაღაზონია თამარ მაღაზონია ნინო კვიციანიშვილი</p> <p>გვერდების რაოდენობა: 128</p> <p>მოსწავლის ნიგნი მასწავლებლის ნიგნი</p>	

„ვისი გორისა ხარ“



წმინდა გიორგის სახელობის სკოლა-ლიცეუმში, მიმდინარე წლის 20 მაისს, ჩატარდა ინტეგრირებული (საქართველოს ისტორია-ქართულ ენა და ლიტერატურა) გაკვეთილი თემაზე „ვისი გორისა ხარ“, რომელიც ქართველი მეფის, ერეკლე II-ის მოღვაწეობას ეხებოდა.

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა, **ნინო ბუაჩიძემ** მსმენელებს წარუდგინა ერეკლე II-ისა და მისი ეპოქის ლიტერატურული სურათი. მხატვრულად შექმნილი შთაბეჭდილება კიდევ უფრო გააღრმავა საქართველოს ისტორიის პედაგოგის, **ლიკა ლურსმანაშვილის** მიერ მოხმობილმა საინტერესო ისტორიულმა ფაქტებმა. გაიმართა დისკუსია იმის შესახებ, თუ რა მოხდა 1795 წელს, რატომ მოიცვა მეფე უიმედობამ. ლიტერატურული და ისტორიული მასალების ერთობლივმა ეფექტურმა გამოყენებამ საკლასო ოთახში ისტორიული წარსულის შეგრძნების რე-

ალური შესაძლებლობა შექმნა. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ გაკვეთილის მიზანი – წმინდა გიორგის სახელობის სკოლა-ლიცეუმის V კლასის მოსწავლეებს მიეღობოდა და მისი მოღვაწეობის ძირითადი ასპექტების შესახებ – მიღწეულ იქნა.

ამ თვალსაზრისით, საინტერესო აღმოჩენაა მრავალი თვალსაჩინო მასალა, რომლებიც გამოყენებულ იქნა გაკვეთილის მსვლელობის

დროს, რომელიც ეყრდნობოდა სწავლების შემდეგ სტრატეგიებს: არიანეს ძაფი – პრობლემა და მისი გადაჭრის სქემა, მოვლენათა თანმიმდევრობა.

სარეზუმელო გაკვეთილს ესწრებოდნენ: მწერალი **ვანო ჩხიკვაძე**, სკოლის მოძღვარი **მამა ღვთისო**, სკოლის დირექტორი **მანანა ჩუხრუკიძე**, პედაგოგები და მშობლები. ინტეგრირებული მეთოდით ჩატარებულმა გაკვეთილმა, თემაზე „ვისი გორისა ხარ“ მსმენელთა მო-

წონება დამსახურა, რადგან სრულად იქნა მიღწეული მასწავლებლის მიერ დასახული მიზნები. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ მსგავსი გაკვეთილები, ღრმა ცოდნის გადაცემასთან ერთად, მოსწავლეებში პატრიოტულ სულისკვეთებას აღვივებს.

მარინა ჯირკველიშვილი
წმინდა გიორგის სახელობის სკოლა-ლიცეუმის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი

წონება დამსახურა, რადგან სრულად იქნა მიღწეული მასწავლებლის მიერ დასახული მიზნები. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ მსგავსი გაკვეთილები, ღრმა ცოდნის გადაცემასთან ერთად, მოსწავლეებში პატრიოტულ სულისკვეთებას აღვივებს.

მარინა ჯირკველიშვილი
წმინდა გიორგის სახელობის სკოლა-ლიცეუმის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი

ხილული სამყარო და ჩვენი უფალი

სამყაროს შექმნის შესახებ, ადამიანი ყოველთვის მართალ და დამაჯერებლად მოწოდებულ ამბავს ეძებს. ამ თვალსაზრისით, ბიბლიური შესაქმნის წიგნში აღწერილი მოვლენები, ერთი შეხედვით შესაძლოა არაბუნებრივად, მოულოდნელად, ჩვენი შეხედულებების საწინააღმდეგოდ და არადამაჯერებლად მოგვეჩვენოს.

ღვთის მიემდეგ ადამიანს სწამს, რომ სამყარო თავისთავად, ანუ შემთხვევით არ შექმნილა. მას ეჭვი არ ეპარება, რომ სულიწმინდის ნებით გადმოცემული ყოველი სიტყვა ჭეშმარიტია. მან იცის, რომ ბიბლიური ისტორიები ღმერთს ჩვენთვის მხოლოდ წასაკითხად და ჩვენს საკუთარ მოსაზრებებთან მოსარგებად არ მოუცია. ღვთისმოყვარე კაცი დასაწყისში ნაკითხულის გაცნობიერებას ლამობს, ხოლო შემდეგ ამ წიგნში გადმოცემული ჭეშმარიტება მისი განსწავლის, სულიერი სრულყოფისა და ღვთის ჭვრეტის საშუალება ხდება.

იოანეს სახარება ასე იწყება: „პირველთაგან იყო სიტყვა, და სიტყვა იგი იყო ღმერთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყვა იგი. ესე იყო პირველითაგან ღმერთისა თანა. ყოველივე მის მიერ შეიქმნა, და თვინიერ მისა არცა ერთი რაი იქმნა, რაოდენი-რაი იქმნა“ (იოან. 1:1-3).

ღმერთი სიტყვით მოქმედებს, მამა ღმერთში წარმოქმნილი ნება ძე ღმერთით, ანუ სიტყვის მიერ ხორციელდება. ანგელოზთა სამყაროს შექმნის შემდეგ, „მამამ ყოვლისა მპყრობელმა“, არაფერი-საგან, ისევე სიტყვით, ანუ ძით ნივთიერება – მატერია წარმოქმნა.

პირველქმნილი მატერიის შესახებ ბიბლიის პირველივე ლექსი გვამცნობს: „დასაბამად ქმნა ღმერთმან ცაი და ქუეყანაი. ხოლო ქუეყანაი იყო უხილავი და განუმზადებელი და ბნელი ზედა უფსკრულთა. და სული ღმრთისაი იქცეოდა ზედა წყალთა“ (დაბად. 1:1-2).

დეკანოზი ნესტორ ყუბანეიშვილი წერს: „ყოველი ნივთიერება, რომლისაგანაც ქვეყანა შედგება, ერთად იყო არეული, ეს ნივთიერება... ბნელი იყო დაფარული და სული ღმრთისა მიმოვიდოდა მასზედ“.

ამ ბნელი ქაოსიდან ჰარმონიისა და ქვეყნის შესაქმნელად, სამების ყოველი წევრი: მამა ღმერთი, ძე ღმერთი და სულიწმინდა მუდმივად მოქმედებს. იოანეს სახარებაში, წმინდა სამების მეორე წევრი – სიტყვა, ანუ იესო ქრისტე ასე მიმართავს ფარისეულებს: „მამაი ჩემი მოაქამოდე იქმს, და მეცა ვიქმ“ (იოან. 5:17); ხოლო სულიწმინდა შესახებ იესო ქრისტე ბრძანებს: „...რაჟამს მოვიდეს ნუგეშისნი-მცემელი იგი, რომელი მე მოვავლინო თქუენდა მამისა ჩემისა მიერ, სული ჭეშმარიტებისაი, რომელი იგი მამისაგან გამოვალს, მან წამოს ჩემთვის“ (იოან. 15:26).

ქაოსიდან ჰარმონიისა და ქვეყნიერების შექმნის შემდეგ, ბიბლიაში ლაპარაკია ადამიანზე და მისი არსებობის მიზნის საბოლოოდ განხორციელებაზე.

ღმერთმა ყველაფერს, რაც ამ ბნელიდან შეიქმნა, აღორძინებისა და გამრავლების ძალა მიანიჭა, მაგრამ უფლის ძემ – სიტყვამ, მხოლოდ ადამიანს მისცა დამოუკიდებლად ქმედებისა და საკუთარი ნებით განვითარების უნარი.

ადამიანში მოქმედი კეთილი ნების განხორციელებას, ამ ნების ღვთის ნებასთან ჰარმონიულად შერწყმას და ცათა სასუფეველამდე ამაღლებას, სურვილი, რწმენა და გზის სწორი ჭვრეტა ესაჭიროება. იესო ქრისტე ერთ-ერთ ფარისეულს, რომელმაც მას, ცათა სასუფეველის შესახებ შეკითხვა დაუსვა, ასე მიმართავს: „ამენ, ამენ გეტყვ შენ: უკეთუ ვინმე არ იშვეს წყლისაგან და სულისა, ვერ ხელეწიფებს შესღვად სასუფეველსა ღმრთისასა“ (იოან. 3:5). მაცხოვრის ეს სიტყვები ებრაელი მღვდელმთავრისათვის, დასაწყისში გაუგებარი იყო. შესაძლოა, მათი შინაარსი ჩვეულებრივი ქრისტიანისათვისაც მიუწვდომელია, მაგრამ საბედნიეროდ ადამიანი, ღვთის მზრუნველობის გარეშე არასოდეს არ რჩება. იესო ქრისტე, ჯვარცმის მოლოდინშიც კი, ქრისტიანებს ამოედებს: „...ნუგეშისნი-მცემელი იგი სული წმინდაი, რომელი მოავლინოს სახელითა ჩემითა მამამან, მან განსაოს თქუენ ყოველი და მოგახსენოს თქუენ ყოველი, რადენი გარქუ თქუენ“ (იოან. 14:26).

სწორედ ჩვენი სრულყოფისათვის არის აუცილებელი წმიდა სამების რწმენით და სულიწმინდის მადლით შევისწავლოთ წმინდა წერილი. იმისათვის, რომ სწორად გვესმოდეს ღმერთის შესაქმე და გვწამდეს წმინდა სამება, მართლმადიდებელმა მამებმა მრწამსი შეადგინეს და ეკლესიას დაუწესეს. სამების რწმენაში განმტკიცებულ ყველა ქრისტიანს, ეს მრწამსი საფუძველს უქმნის: სწამდეს ერთი ღმერთი, მამა ყოვლისა მპყრობელი, შემოქმედი ცათა და ქუეყანისა, ხილულთა ყოველთა და არა ხილულთა; და ერთი უფალი იესო ქრისტე, ძე ღმრთისა მხოლოდშობილი... რომლისაგან ყოველი შეიქმნა... და სული წმინდა, უფალი და ცხოველს-ყოფელი, რომელი მამისაგან გამოვალს...

წმიდა სამებას ცა და ქვეყანა, შეეძლო მეყვალად და ერთბაშთ შეექმნა. მაგრამ დასაწყისში, მატერიისაგან უფალმა „შექმნა სახე ყოვლისა...“ და შემდეგ, ადამიანის თანამოსამსახურებით, ყველივეს სიცოცხლე მიმადლა და ყველა არსებას, ცხოვრების ძალა მიანიჭა. უფალმა მოისურვა, მთელი ეს საოცრება, რასაც სამყარო ჰქვია, შესაქმნის გვირგვინის – ადამიანის თვალწინ აღორძინებულიყო: „და და-ვე-ჰბადა უფალმან ღმერთმან ყოველი მხეცი ველისაი, ყოველი მფრინველი ცისაი და მოიყვანნა იგინი ადამისა ხილვად და ყოველთა მშენვერთა ცხოველთა, რომელიცა უწოდა ადამ, იგი არს სახელი მათი, რაიძი უწოდა მათ“ (დაბად. 2:19).

ამრიგად, ღვთის ნებით, ქვეყანა ადამიანის თვალწინ აღორძინდა დღესაც, ქრისტიანის სული-

რი საქმე, წმინდა სამების რწმენაში განმტკიცება და ამ რწმენით ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენების, ბიბლიური გამოცდილებით ჭვრეტაა. წმინდა წერილის მთავარი ამოცანაც, ღმერთის, ადამიანისა და სამყაროს შეცნობაში კაცობრიობის დახმარებაა.

ამრიგად, ბიბლია ყოველი ჩვენგანისათვის ჭეშმარიტებისაკენ მიმავალი გზა და საშუალებაა. მაგრამ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ სამყაროს შექმნისა და მისი შემდგომი სრულყოფის მიზეზი, მამა ღმერთთან ერთად, ძე ღმერთი და სულიწმინდაა. ამ უმთავრესი ჭეშმარიტების გათვალისწინების გარეშე ვერ დავინახავთ და ვერ ჩავწვდებით ბიბლიური მოვლენების შინაარსს. ირინეოს ლეონელის სიტყვებით რომ ვთქვათ: „ძე და სული წმინდა, როგორც მკლავები მამისა, მუდამ მამასთან ერთად და მამისაგან მოქმედებდა არიან“ (ნახე, «Протие ереси»-იხი. V.1. 6).

* * *

ღვთისმხილველი მოსეს მიერ მოთხრობილი შესაქმნის ამბები მოკლე და ლაკონურია; ის სულ რამდენიმე ასეულ სიტყვას მითვლის და სრული უბრალოებით გამოირჩევა; თავისუფალია ყველანაირი რელიგიური და მეცნიერული მტკიცებებისაგან. მიუხედავად ამისა, ათასწლეულების მანძილზე ეს ერთადერთი წყაროა, საიდანაც კაცობრიობა სამყაროს შექმნის შესახებ, ჭეშმარიტი ცოდნით საზრდოობს.

ღმერთის შესახებ ერთ-ერთი მთავარი ბიბლიური სიმართლე იმაში მდგომარეობს, რომ წმიდა სამება სამყაროსაგან სრულიად დამოუკიდებელია, უფალი არის ერთიანი სულიერი ბუნება, ღმერთი ყოფიერებაზე მაღლამდგომი, დროისმიღმა არსებული, ყოველგვარი ყოფის პირველწყაროა.

სიტყვები: „დასაბამად ქმნა ღმერთმან ცაი და ქუეყანაი“ გულისხმობს, რომ ღმერთი დასაბამად – დროის შექმნამდე, არსებობდა. ღმერთმა თვითონ შექმნა ცა და ქვეყანა, ამიტომ იგი სივრცით არ იზღუდება. მისი ყოფა, ქვეყნიერების მსგავსად, ზეციური სივრცის არსებობაზე არ არის დამოკიდებული.

ღმერთი არის ერთარსი და მის გარეშე ვერც ერთი არსება ვერ იარსებებს. ღმერთი პიროვნული და გონიერი არსებაა. საილუსტრაციოდ, წმინდა ირინეოს ლეონელს ასეთი შედარება მოჰყავს: „ადამიანებს შეუძლიათ რაიმე შექმნან, მაგრამ ამისათვის მათ უჭევლად ესაჭიროებათ მასალა. ღმერთმა კი არაფერიდან, ყოფიერებაში თავად გამოიხმო შესაქმნის მასალა – მატერია, რომელიც მანამდე საერთოდ არ არსებობდა“.

როგორც თეოფილაქტე ბულგარელი ბრძანებს, თუ წარმოვიდგინოთ, რომ ღმერთმა სამყარო უკვე არსებული მასალით განახორციელა, მის შესაქმეს ადამიანის შემოქმედებას გავუტოლოთ: ღმერთს წარმოვიდგინოთ მეთუნედ, რომელსაც თიხა ესაჭიროება, ან მშენებლად, რომელიც აგურით აშენებს, ან კიდევ მხატვ-

რად, რომელიც საღებავების გარეშე ვერ დახატავს.

მოსეს შესაქმე კი სხვა შთაბეჭდილებას გვიქმნის:

- 1) სამყაროს შექმნის შესახებ:
 - ა) სამყარო მუდმივად არ არსებობდა, ის დროსთან ერთად გაჩნდა;
 - ბ) სამყარო ღმერთის ნებით გაჩნდა, ის თავისთავად არ გაჩენილა;
 - გ) სამყარო ღვთის ნებით მეყსეულად და ერთბაშად არ გაჩენილა, უფალმა მოისურვა მთელი ეს საოცრება, რასაც სამყარო ჰქვია, ადამიანის თვალწინ აღორძინებულიყო, ამიტომ სამყარო შეიქმნა დროში და თანმიმდევრულად;
 - დ) სამყარო შეიქმნა არა რაიმე აუცილებლობით, არამედ ღვთის კეთილი ნებით;
 - ე) სამყარო შეიქმნა მამა ღმერთის სიტყვის – ძე ღმერთის მიერ და სულიწმინდის უშუალო მონაწილეობით;
- 2) სამყაროს ბუნების შესახებ:
 - ა) სამყარო თავისი არსით ღმერთისაგან განსხვავდება: ის არ არის
 - ღვთიური არსების ნაწილი,
 - ის არ წარმოადგენს ღმერთის ემანაციას (არ გაჩენილა ღმერთისგან გამომდინარე მისტიკური ენერგიების შერწყმის შედეგად);
 - ის არ არის ღმერთის სხეულის ნაწილი;
 - ბ) სამყარო ღმერთმა არყოფნიდან ყოფიერებაში შემოიყვანა. სამყარო არ შექმნილა რომელიმე უკვე არსებული მასალისაგან;
 - გ) ყველაფერი, რაც დედამიწაზე არსებობს, მინიერი სტიქიებისაგან შეიქმნა, „აღმორჩებული“ და „გამოღებული“ იქნა წყლისაგან და მინისაგან. სხვაგვარად შეიქმნა ადამიანი, რომელიც ღმერთის ხატებას და მსგავსებას წარმოადგენს;
 - 3) იმის შესახებ, თუ რა შედეგები მოიტანა შესაქმნე:
 - ა) უფლისა და მისი შესაქმნის შედეგად გაჩენილ სამყაროს, სხვადასხვა ბუნება აქვთ. უფლის მიერ შექმნილი სამყარო მას არ შეერწყა;
 - ბ) ღმერთს პიროვნულად, შესაქმნის შედეგად, არაფერი არც დაუკარგავს და არც შეუძენია;
 - გ) ღმერთის გარდა სამყაროში ყველაფერი შესაქმნის შედეგადაა გაჩენილი;
 - დ) ყველაფერი, რაც შეიქმნა, „იხილა ღმერთმა რამეთუ კეთილ“, ამდენად, ბოროტება სამყაროსთან ერთად არ გაჩენილა.

* * *

მოსეს ხუთწიგნი ბრწყინვალე საფუძველია, როგორც ჭეშმარიტი რელიგიური, ისე მეცნიერული აზრის განვითარებისათვის.

ჩამოთვლილი დებულებები წყაროა – ღმერთის, როგორც ცოცხალი პიროვნების დანახვისა, მისი სიყვარულისა, დიდებისა, მის მიმართ ღოცვისა, სასოებისა და მადლიერების გრძნობის

გამოხატვისა. ერთი ნუთით რომ წარმოვიდგინოთ ჩვენი ყოფა ღმერთის გარეშე, სასწრაფო-თილება დაგვეუფლება და ამ შეგრძნებას ვერ გავგიქარწყლებს ვერც მშობლების და ვერც უახლოესი ადამიანების სიყვარული.

თუ დავუშვებთ, რომ ქვეყნიერება ღმერთის თანადროულია, ან მისი ნაწილია, ან მისგან დამოუკიდებელი არსია – სამყარო, მთელი თავისი ცვალებადობით, მასში არსებული ბოროტებით, ხრწნადობითა და მოკვდავობით ნახევარღმერთად წარმოვიდგევა. ეს იქნება თავისთავად არასრული და შეზღუდული ღმერთი. ამ ღმერთში შეირყვნება მარადიულობა, მასში არ იქნება ყოველდღიერება. ასეთი ღმერთი მორწმუნეებს უეჭველად წარმართობამდე ან დუალიზმამდე მიგვიყვანს.

თუ მივიჩნევთ, რომ სამყარო, ემანაციურად ღვთის არსისაგან შეიქმნა, ჩვენ უკვე განმზადებული ღმერთები ვიქნებით და სრულყოფა არ დაგვჭირდება. ასეთებად საკუთარი თავი კანის შთამომავლებს წარმოვიდგინოთ, მათ მიაჩნდათ, რომ თვით სამყაროა ღმერთი და შესაბამისად, თვითონაც ღმერთები არიან, – ასეთებს ღმერთი არ ესაჭიროებოდათ და ცხოვრება წარღვნილ დაასრულეს.

მოსეს ხუთწიგნში ჩვენ ვხედავთ, რომ სამყაროს თავისი დასაბამი გააჩნია. ქვეყნიერება დროში შეიქმნა. მაგრამ არსებობს მარადისობა, წმიდა სამების ღვთიური სიბრძნე, სიკეთის მქმნელი და მფარველი ღმერთი, რომელმაც ეს თვალწარმტაცი და უკიდვარო სამყარო კაცთა მოდგმის სასიხარულოდ და სიკეთის სადიდებლად შექმნა, რომლისკენაც მიილტვის ღვთისმორწმუნე ადამიანი (ნახე, *Закон Божий. М. Бишоп. и Ковчег. 1998*).

ფსალმუნი გალობს:

„აკურთხევეს სული ჩემი უფალსა; უფალო ღმერთო ჩემო, განსდიენ ფრიად, აღსარებაი და დიდად შეუნიერებაი შთაიციუ, შეიმოსე ნათელი ვითარცა სამოსელი, გარდაართხენ ცანი ვითარცა კარავნი. რომელმან დაჰპრთნა წყლითა ზესკნელნი მისნი, რომელმან დასხნა ღრუბელნი აღსავალად თვისა, რომელი იქცევს ფრთეთა ზედა ქართასა; რომელმან შექმნა ანგელოზნი მისნი სულად და მსახურნი მისნი – ალად ცეცხლისა; რომელმან დააფუძნა ქუეყანაი სიმტკიცესა ზედა თვისსა, არა შეიძრას იგი უკუნი-თი უკუნი სამდე. ...ვაქებდე უფალსა ცხოვრებასა ჩემსა, უგალობდე ღმერთსა ჩემსა, ვიდრემ-ლის ვიყო მე. ტკბილ ეყავნ მას გალობაი ჩემი, ხოლო მე ვიხარებდე უფლისა მიმართ...“ (ფსალმ. 103).

როლანდ ჩხეიძე

ოთარ, ცილა და ნათელა გოგმელიძეები იუნყებიან, რომ გარდაიცვალა დაწყებითი სკოლის დამსახურებული პედაგოგი, აფხაზეთიდან დევნილი

ვენერა გოგმელიძე
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მათემატიკა

ბიოლოგიის ბაკვეთილი. VIII კლასი

გაკვეთილის თემა: ევოლუციური თეორია – ბუნებრივი გადარჩევა, ბრძოლა არსებობისთვის


გაკვეთილის მიზანი: მოსწავლემ შეძლოს ბუნებრივი გადარჩევის პროცესის აღწერა, იმსჯელოს ბუნებრივი გადარჩევის მნიშვნელობაზე, ისაუბროს არსებობისთვის ბრძოლის შესახებ, მოიყვანოს შესაბამისი მაგალითები.

გამოყენებული მასალა: თაბახის ფურცლები, სურათები, სქემა, ცხრილი.

გაკვეთილის დრო: 45 წუთი.

გაკვეთილის მსვლელობა

კლასს მივმართავ, რომ სიტყვა „ევოლუცია“ ნიშნავს ცვლილებას, განვითარებას, გარდაქმნას. სიცოცხლის წარმოშობის დღიდან დედამიწაზე მუდმივად მიმდინარეობს ცვლილებები ცოცხალ ორგანიზმებში და დღევანდელი ცოცხალი სამყარო სრულად განსხვავდება ადრინდელისგან. მილიონი წლების წინ დედამიწაზე გიგანტური უძველესი ქვეწარმავლები – დინოზავრები ბინადრობდნენ, მათ მისცეს დასაბამი დღევანდელ ქვეწარმავლებს, ფრინველებს და ძუძუმწოვრებს. ევოლუციის პროცესი დღესაც გრძელდება, თუმცა მისი შემჩნევა რთულია, რადგანაც ორგანიზმთა მნიშვნელოვანი ცვლილებებს ძალიან დიდი დრო სჭირდება. ევოლუციის პროცესს საფუძვლად უდევს მუტაცია, ანუ უცარი ცვლილება გენეტიკურ მასალაში. ცვლილება მემკვიდრულ ინფორმაციაში ახალი ნიშან-თვისების გაჩენაში ვლინდება. შემდგომში ჩაერთვება ევოლუციის განმაპირობებელი სხვა ფაქტორები – ბუნებრივი გადარჩევა და ბრძოლა არსებობისთვის (2 წთ.) დაფაზე ვკიდებ სქემას:



მოსწავლეებს ვთხოვ, იმსჯელონ, როგორ ფიქრობენ, რას ნიშნავს ბრძოლა არსებობისთვის. იმართება დისკუსია (3 წთ.).

მოსწავლეების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს დაფაზე ჩამოვწერ.

მივდივართ დასკვნამდე, რომ ორგანიზმებს გადარჩენისთვის უნებურად ურთიერთობა საკუთარი სახეობის ინდივიდებთან, იმავე ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვა სახეობის ორგანიზმებთან და, აგრეთვე, არაცოცხალი ბუნების არახელსაყრელ პირობებთან (სიცხე, სიცივე, დაბალი ან მაღალი ტენიანობა, ნალექი და სხვ.). აქედან ყველაზე მძაფრი მაინც შიდა-სახეობრივი ბრძოლაა, რადგანაც ერთი სახეობის ორგანიზმებს სჭირდებათ მსგავსი საკვები, ტერიტორია, პირობები გამრავლებისთვის. ამ ბრძოლაში ინდივიდთა ნაწილი იღუპება, მაგრამ აღნიშნული პროცესი ხელს უწყობს სახეობის სრულყოფას და ამ ბრძოლაში იმარჯვებს უფრო ძლიერი და უკეთესად შეგუებული ორგანიზმი.

სახეობათშორისი ბრძოლა არსებობისთვის მიმდინარეობს იმ შემთხვევაში, თუ სახეობები მსგავს პირობებს საჭიროებენ. როგორც წესი, ერთი სახეობა, რომელიც უკეთ შეგუებული აღმოჩნდება, განდევნის მეორე სახეობას.

არახელსაყრელ პირობებთან ბრძოლა შეინიშნება იმ შემთხვევაში, თუ გარკვეულ არეალზე პირობები განსხვავებულია. მაგალითად, მთებში ხშირად შევხვდებით გამხმარ ხეებს, თუმცა იქ მათ სხვა მცენარეები არ უშლიან ხელს. ამ შემთხვევაში, ხეების გახმობა დაბალი ტემპერატურის შედეგია (5 წთ.).

შემდეგ კლასს დავეყოფ ვჯგუფებად და ვთხოვ, მოიყვანონ მაგალითები არსებობისთვის ბრძოლის სამივე ტიპის შესახებ (5 წთ.).

პრეზენტაციები (7 წთ.).

პრეზენტაციების შემდეგ ვინყებთ ბუნებრივი გადარჩევის პროცესის განხილვას. მოსწავლეებს ვეტყვი, რომ ბუნებრივი გადარჩევის შედეგად გადარჩებიან და შთამომავლობას დატოვებენ ის ორგანიზმები, რომლებსაც მოცემულ პირობებში სასარგებლო მემკვიდრული ცვლილება აღმოაჩნდება.

დაფაზე ვკიდებ სურათს, სადაც გამოსახულია ოთხფეხა ქვეწარმავლის ევოლუციის პროცესი მფრინავი ხვლიკის წარმოშობამდე.

იმართება დისკუსია, როგორ განვითარდა აღნიშნული პროცესი და რა უპირატესობა გააჩნდა ფრენის უნარის წარმოქმნას (3 წთ.).

შემდეგ მოსწავლეებს ვჯგუფებთ ვთხოვ, ჩამოაყალიბონ ყირაფის ევოლუციის პროცესი, იმსჯელონ მიზეზებსა და შედეგებზე (5 წთ.).

პრეზენტაციები (6 წთ.).

გაკვეთილის შეჯამების მიზნით მოსწავლეებს შევთავაზებ, უპასუხონ შემდეგ შეკითხვებს:

- 1. რა არის ევოლუცია?
2. რა პროცესები უდევს საფუძვლად ევოლუციის პროცესს?
3. რა არის მუტაცია და როგორ აისახება იგი ორგანიზმებზე?
4. რა პროცესია არსებობისთვის ბრძოლა?
5. როგორ ხორციელდება შიდასახეობრივი ბრძოლა არსებობისთვის?
6. როგორ ხორციელდება სახეობათშორისი ბრძოლა არსებობისთვის?
7. როგორ ხორციელდება ბრძოლა არაცოცხალი ბუნების არახელსაყრელ პირობებთან?
8. როგორ ხორციელდება ბუნებრივი გადარჩევა?
9. როგორი ორგანიზმები შენარჩუნდებიან გადარჩევის პროცესში?
10. რა შედეგებამდე მივყავართ ევოლუციის პროცესს? (9 წთ.)

აღნიშნული კითხვების საშუალებით მოვახდენ მოსწავლეთა შეფასებას.

გაკვეთილის დასასრულს მოსწავლეებს მივცემ საშინაო დავალებას. ვთხოვ, აგრეთვე, შეავსონ შემდეგი ცხრილი:

Table with 3 columns: Evolutionary Process, Result, and Example. Rows include mutation, natural selection, and competition.

ნათა გიჭიაშვილი

ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, გაეროს ასოციაციის საერთაშორისო სკოლა

სახალისო სღებო ქიმიები

ცდავი ქლორის გამოყენებით

საკმაოდ სასიამოვნოა მრავალფეროვანი ხსნარების მიღებისა და მათი ფერისცვალების ყურება. სწორედ ამ ეფექტს ემყარება დღევანდელი ცდები, რომელთა ჩასატარებლად თავისუფალი ქლორის გამოყენება დაგვჭირდება და ამიტომ ცდების აღწერის შემდეგ ქლორის მიღების მეთოდსაც ვაგაზსენებთ.

წყალი „ცისარტყელასაგან“

გაამზადეთ ორი გამოყვრავალი ბოთლი და 7 ჭიქა ცისარტყელას ყველა ფერის ხსნარის მისაღებად. ერთ ბოთლში ჩაასხით განზავებული ტუტის ხსნარი, მეორეში კი, ნახევრამდე, ქლორიანი წყალი ისეთი კონცენტრაციით, რომ ხსნარი უფერო ჩანდეს.

ჭიქებში ჩაასხით ერთ მილილიტრამდე ხსნარები: I-ში ფენოლფტალეინი, II-ში ფენოლფტალეინისა და მეთილნარინჯის ნარევი, III-ში მეთილნარინჯი, IV-ში ქლოროფილი, V-ში განზავებული ლაკმუსი, VI-ში კონცენტრირებული ლაკმუსი და VII-ში ანილინ-ვიოლეტი.

ჭიქებში ხსნარები რომ არ გამოჩნდეს, ასე იქცევიან: 2-3 მილიმეტრი სისქის შავი ქაღალდის ზოლს შემოავლებენ და მიანებებენ ჭიქებს გარედან ძირში. ამისათვის ფოტოსაქეში გამოყენებული შავი ქაღალდიც გამოადგება.

ჭიქები ერთ ხაზზე ჩაამწკრივეთ. ქლორიანი ბოთლი მოფარებულად დადგით მაგიდაზე ან თაროზე. ხელში აიღეთ ტუტიანი ბოთლი და გამოაცხადეთ, რომ ამ „წყალს“ ცისარტყელად აქცევთ და ბოთლიდან დაიწყეთ ხსნარის ჩასხმა ჭიქებში, მოცულობა – ჭიქის 1/3-იც საკმარისია. თქვენ თვალნი გამოჩნდება ცისარტყელას შიდივე ფერი. ჭიქებში ხსნარები თანმიმდევრულად იქნება: I-ში – წითელი, II-ში – ნარინჯისფერი, III-ში – ყვითელი, IV-ში – მწვანე, V-ში – ცისფერი, VI-ში – ლურჯი და VII-ში – იისფერი.

პირველ ბოთლში რა მოცულობის ხსნარიც დარჩა (განზავებული ტუტის ხსნარი), იგივე მოცულობა უნდა ჰქონდეს II ბოთლში არსებულ ქლორიან წყალს. შემდეგ შეუმჩნევლად უნდა შეცვალოთ ბოთლები და გამოაცხადოთ, რომ ამ „ცისარტყელას“ ახლა ისევე წყლად გადააქცევთ. ქლორიან ბოთლში რიგრიგობით ჩაასხით ყველა ჭიქის შიგთავსი. „ცისარტყელა“ გაუფერულდება. თუ ხსნარების ფერისცვალება ცოტა მაინც შეფერხდა, ქლორიანი ბოთლი წრიული მოძრაობით მსუბუქად შეარხეთ. ორგანული საღებავები ქლორით უფერულდება.

შეიძლება აქ ჩამოთვლილი რეაქტივები ყველა არ გქონ-

დეთ სკოლაში. მაშინ უნდა მოძებნოთ სხვა საღებავები, რომელიც სკოლაში მოგეპოვებათ და ცდის ჩატარებით მიაგნოთ იმ საღებავებს, რომელიც საჭირო ფერს მოგცემთ.

ფიზიკოსების „მცდომა“

ცდა შეგიძლიათ ასეთი ტექსტით დაიწყოთ: „ფიზიკოსები ამტკიცებენ, რომ ლურჯისა და ყვითელი სინათლის შერევით მწვანე სინათლე მიიღება. მართლაც, ცისარტყელაში ლურჯსა და ყვითელ ხაზებს შორის ხომ მწვანე სინათლის ზოლია! იმავეს იტყვიან მხატვრებიც. მწვანე ფერს ისინიც ლურჯი და ყვითელი საღებავების შერევით იღებენ.“

ამ საკითხზე სხვა აზრისანი არიან ქიმიკოსები და ამას ექსპერიმენტითაც ამტკიცებენ. ჩვენც ჩავატაროთ ეს ცდა“.

მაგიდაზე დაწყვეთ წინასწარ გაზავებული სამი ჭიქა. ერთში ესხას ლაკმუსიანი ტუტე, ანუ ლურჯი ხსნარი, II-ში – მეთილნარინჯიანი ტუტის ხსნარი, ანუ ყვითელი სითხე და III – „ცარიელი“. სინამდვილეში ამ უკანასკნელში, ძირში, ძალიან თხელ ფენად ისე, რომ ხსნარი არ ჩანდეს, ესხას ქლორიანი წყალი. ორი შეფერილი ხსნარი ერთდროულად ჩაუშვით მესამე ჭიქაში. ხსნარები გაუფერულდება. აქაც ქიმიზმი იგვიყვას: ქლორიანი წყალი შლის და აუფერულებს ორგანულ საღებავებს. ქლორიანი წყალი ახალი მიღებულ უნდა იყოს, თორემ დროთა განმავლობაში ქლორი რეაქციაში შევა წყალთან, ხსნარში სხვა კომპონენტები გაჩნდება და რეაქცია სხვანაირად წარიმართება, ანუ სასურველ შედეგს ვერ მიიღებთ.

ქლორის მიღება

ა) ქლორის მიღება მანგანუმის ორჟანგით (ან ტყვიის ორჟანგით) მარილმჟავას დაჟანგვით.

დიდი რაოდენობით ქლორის მიღებას შედარებით რთული აღნაგობის მონწყობილობის გამოყენება დასჭირდება (იხ. P. Рипани И. Чет нуи Руководство к практическим работам по неорганической . иши. გვ. 94; ან სხვა რომელიმე პრაქტიკული სამუშაოების სახელმძღვანელოში). ვინაიდან ჩვენი ცდებისათვის მცირე რაოდენობის ქლორია საჭირო, მხოლოდ დიდ სინჯარას გამოვიყენებთ.


აიღეთ გაზის მისაღები პატარა ხელსაწყო ან თქვენ თვითონ ააწყვეთ იგი. ამისათვის გამოიყენეთ დიდი სინჯარა და მჭიდროდ მოურეთ კორპის საცობი, გაზამყვანი მილით. სინჯარაში ჩაყარეთ MnO2-ის ან PbO2-ის გრანულები ერთი სანტიმეტრის სიმაღლემდე. ჩაასხით შიგ კონცენტრირებული HCl-ის ხსნარი, სინჯარის ერთი მესამედი მოცულობის რაოდენობით. სწრაფად დაახურეთ საცობი გაზამყვანი მილით,

რომლის მეორე ბოლო ჩაუშვით წყლიან მენზურაში თითქმის ფსკერამდე.


რეაქცია იწყება ნივთიერებათა შერევისთანავე, ოთახის ტემპერატურაზე. გამოყოფილი ქლორი მანამდე უნდა ატაროთ წყალში, სადაც ხსნარი შეიფერებოდეს. ხსნარი სიმწვანე არ უნდა შეეტყოს. ქლორის მიღება ამწვო კარადაში კარგი ვენტილაციის პირობებში უნდა ჩატარდეს. ქლორი მომწამლავი ნივთიერებაა და მასთან მუშაობისას უსაფრთხოების დაცვის ყველა წესის გამოყენება საჭირო.

მანგანუმის ან ტყვიის ორჟანგები (MnO2, PbO2) თუ ძალიან წვრილად იქნება დაფხვნილი, სინჯარის შიგთავსი ძალიან აქაფდება, გამოაღწევს გაზამყვან მილში და ქლორიან წყალს გააჭუჭყიანებს. ამიტომ ამჯობინებენ გრანულებს. თუ ქლორის გამოყოფა ძალიან შემცირდება და თქვენ კიდევ გჭირდებათ Cl2, შეგიძლიათ სინჯარა შეათბოთ და რეაქცია ინტენსიური გახდება. მაგრამ აქაც ყურადღებაა საჭირო. 90°-ზე მაღლა თუ გაცხელდა ხსნარი, ქლორთან ერთად ქლორწყალბადიც აქროლდება ხსნარიდან და მომდევნო ცდებს გაგიფუჭებთ. საერთოდ, ქლორის განმენდა ქლორწყალბადისაგან ხდება მათი გატარებით წყლიან ჭურჭელში.

რადგან ქლორი 2,5-ჯერ მძიმეა ჰაერზე, მისი შეგროვება შეიძლება ღია ცარიელ ჭურჭელშიც. რეაქციის განტოლებას ექნება შემდეგი სახე:



ბ) ქლორის მიღება ნატრიუმის ქლორიდის დაჟანგვით MnO2-ით, გოგირდმჟავას თანხლებით.



ამ რეაქციისათვისაც იგივე გაზის მისაღები ხელსაწყო უნდა გამოიყენოთ. რეაქტივებიდან: MnO2 აქ შეიძლება წვრილი ფხვნილის სახითაც იყოს, სამაგიეროდ სუფრის მარილი უნდა იყოს მსხვილი კრისტალები. თანაფარდობა ასეთი დაიცავით: 5 წონითი ნაწილი MnO2, 6 წონითი ნაწილი NaCl და გოგირდმჟავას განზავებული ხსნარი სინჯარის 1/3-1/4 მოცულობის რაოდენობით. H2SO4-ის კონცენტრაციის მასური შეფარდება – 15 წონითი ნაწილი კონცენტრირებული H2SO4 და 75.წ. გამოხდილი წყალი.

ცდა ტარდება ამწვო კარადაში წვეის ქვეშ. თუ თქვენ ქლორის საჭირო რაოდენობა უკვე მიიღეთ და

მეტი Cl₂ აღარ გჭირდებათ, მაგრამ ეს გაზი ჯერ ისევ გამოიყოფა, გაზგამყვანი მილი უნდა ამოიღოთ თქვენი ექსპერიმენტისთვის განკუთვნილი ქლორიანი წყლის მენზურიდან და ჩაუშვით წინასწარ გამზადებულ სუსტ ტუტიან ხსნარში. ასე თქვენ დაიცავთ ატმოსფეროს დაბინძურებისაგან.



სახალისო ცდებისათვის გამზადებული ქლორიანი წყალი წინასწარ უნდა შეამოწმოთ, აუფერულეხს თუ არა ინდიკატორებს. ქლორიანი წყალი რამდენიმე საათი რეაქციის უნარიანია. ის შეგიძლიათ გამოიყენოთ გაკვეთილზეც იოდისა და ბრომის მისაღებად მათი მარილებიდან.

უამრავი თეორიული მასალა შეგიძლიათ დაუკავშიროთ ქლორსა და მის ნაწარმებს. მათ შორისაა: წყლის ბიოლოგიური გასუფთავება მასში ქლორის გატარებით, უამრავი შხამქიმიკატებისა და ნამღებების წარმოება, ქლორისა და მისი ნაერთების მათემატიკური თვისებების გამოყენება ქალაქისა და საფეიქრო საქმეში და სხვა უამრავი.

ჩემო ძვირფასო მკითხველო, მოგმართავთ თხოვნით, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, მომხერეთ, რა საკითხებზე გნებავთ ინფორმაციის მიღება და სიახლოვებით გამოგვხმაურებით.

გისურვებთ წარმატებებს.

მარიამ სურგულაძე



გაზის მისაღები უმარტივესი ხელსაწყო

ინფორმაცია

2009 წლის სასწავლო ოლიმპიადის ტიპის 42-ე საჯარო სკოლის წარმატების მოკლე ანალიზი

2009 წლის სასწავლო ოლიმპიადის ტიპის 42-ე საჯარო სკოლაში პირველი ადგილი მოიპოვა. მოგვხსენებთ, წარმატებულის გამოვლენა რამდენიმე კომპონენტით განისაზღვრებოდა, მათ შორის მეორე ტურზე გასული მოსწავლეების რაოდენობით, II ტურში გარკვეულ ადგილებზე (პირველ ოცეულში, ათეულში და ა.შ.) გასული მოსწავლეების რაოდენობა კლასების მიხედვით.

შეფასების ასეთი სისტემა საშუალებას იძლევა გაკეთდეს ანალიზი თუ რა ფაქტორები განაპირობებენ წარმატებას, რა არის სკოლის ძლიერი თუ სუსტი მხარეები. მოცემულ შემთხვევაში 42-ე საჯარო სკოლის ხელმძღვანელები ვფიქრობთ, რომ ჩვენი წარმატება, ძირითადად, საკლასო დონეზე წარმართულმა საქმიანობამ განაპირობა და არა საოლიმპიადო წრეების მუშაობამ, რამეთუ ეს მიმართულება ჯერ კიდევ სუსტადაა განვითარებული. ამ მოსაზრების არგუმენტად 42-ე საჯარო სკოლიდან რესპუბლიკური ოლიმპიადის მეორე ტურში გასულ მოსწავლეთა რაოდენობა მიგვაჩნია: ფიზიკაში 106 მოსწავლე 183-დან (60%); მათემატიკაში 79 მოსწავლე 256-დან (31%); ქიმიაში 3 მოსწავლე 36-დან

(8%); ბიოლოგიაში 2; გეოგრაფიაში, ისტორიაში და ქართულში თითო-თითო მოსწავლე (დიაგრამა №1).

ვფიქრობთ, რომ ასეთი წარმატების განმსაზღვრელი იყო სკოლაში მონიტორინგისა და შეფასების, მოსწავლეთა და თანამშრომელთა ნახალისების, სწავლა-სწავლების სტრატეგიისა და სხვა მიმართულებებით მართვის ახალი სისტემების დანერგვა.

ჩვენითვის, როგორც გაძლიერებული ფიზიკა-მათემატიკური პროგრამების სკოლისათვის, რა თქმა უნდა მნიშვნელოვანი იყო მათემატიკასა და ფიზიკაში მიღწეული შედეგები (სხვადასხვა ხარისხის დიპლომები და იმსახურა 42-ე სკოლის 8 მოსწავლემ, აქედან 5-მა მათემატიკაში და 3-მა ფიზიკაში), მაგრამ არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა სხვა საგნებში წარმატებების მიღწევას. ბოლო ორი წლის განმავლობაში სკოლის ძირითადი სტრატეგია მიმართული იყო პრიორიტეტულ საგნებში პოზიციების შენარჩუნების პარალელურად სხვა საგნების მნიშვნელობის გაზრდისაკენ და ვფიქრობთ, რომ ჩვენ ამას ვახერხებთ.

მიგვაჩნია, რომ თუ მოსწავლეებს ექნებო-


დათ შესაძლებლობა ოლიმპიადებზე მონაწილეობა მიეღოთ ორზე მეტ საგანში, შედეგები უფრო შთამბეჭდავი იქნებოდა. ყოველ შემთხვევაში ფაქტია, რომ ჩვენი სკოლის არაერთ მოსწავლეს ჰქონდა სურვილი ორზე მეტ საგანში გასულიყო.

როდესაც შედეგებს ვაანალიზებთ საინტერესოდ გვეჩვენება კიდევ ორი დეტალი, ერთი არის წარმატებების სტატისტიკა მათემატიკასა და ფიზიკას შორის და მეორე – მაჩვენებლების განაწილება კლასებს შორის. მოგვხსენებთ, სკოლებში ძირითადი მოთხოვნა მოდის ეროვნულ გამოცდებზე ჩასაბარებელ საგნებზე, მათ შორის მათემატიკაზე, რომელიც ზოგადი უნარების გამოცდასთან არის დაკავშირებული, მაგრამ ძლიერ არის შესუსტებული ყურადღება საბუნებისმეტყველო საგნებზე. ჩვენ შემთხვევაში სოლიდურია მოსწავლეთა წარმატებები მათემატიკაში, მაგრამ კიდევ უფრო შთამბეჭდავია ფიზიკაში მიღწეული შედეგები, რაც ალბათ ბევრზე მეტყველებს. კერძოდ, რესპუბლიკური ოლიმპიადის პირველ ათეულში 42-ე საჯარო სკოლიდან გასული მოსწავლეებიდან 14 არის მათემატიკაში, ხოლო 26 ფიზიკაში. რაც შეე-


ხება კლასების მიხედვით მიღწეულ შედეგებს, საკმაოდ შთამბეჭდავად გვეჩვენება III საფეხურის მოსწავლეების მიღწევები მაშინ, როდესაც საზოგადოებაში ხშირად საუბრობენ დამამთავრებელ კლასებში დასწრების პრობლემებზე. გთავაზობთ შესაბამის სტატისტიკას: ფიზიკაში მეორე ტურში გასული მოსწავლეებიდან 36 VIII-კლასელია, 24 – IX, 25 – X, ხოლო 21 XI-XII-კლასელი; მათემატიკაში 16 – VII, 30 – VIII, 15 – IX, 10 – X, ხოლო 8 მოსწავლე არის XI-XII-კლასელი.

დასასრულს გვსურს აღვნიშნოთ, რომ თბილისის 42-ე საჯარო სკოლა მიესალმება მომავალი წლიდან სასკოლო ოლიმპიადების ჩატარებასთან დაკავშირებულ გეგმებს, მათ შორის, საგნების მიხედვით გამარჯვებული სკოლების გამოვლენისა და საგნების რაოდენობის შეზღუდვის მოხსნის შესახებ. ყოველივე ამას ახალ გამოწვევად მივიჩნევთ და, ჯანსაღი კონკურენციის ფარგლებში, უფრო მეტი წარმატებული სკოლის გამოჩენის იმედი გვაქვს.


ალუდა გოგლიჩიძე
№42 საჯარო სკოლის დირექტორი




დიაგრამა №1. რესპუბლიკური ოლიმპიადის მეორე ტურში გასულ მოსწავლეთა რაოდენობა საგნების მიხედვით



დიაგრამა №2. მათემატიკისა და ფიზიკის მეორე ტურში გასულ მოსწავლეთა რაოდენობა კლასების მიხედვით



დიაგრამა №3. რესპუბლიკური ოლიმპიადის ფიზიკის მეორე ტურში გასულ მოსწავლეთა რაოდენობა კლასების მიხედვით



დიაგრამა №4. რესპუბლიკური ოლიმპიადის მათემატიკის მეორე ტურში გასულ მოსწავლეთა რაოდენობა კლასების მიხედვით

ახალგაზრდა მეცნიერთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი

29 მაისს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, ნიკა გვარამიამ პრეზიდენტის გრანტის მფლობელი 55 ახალგაზრდა მეცნიერი და ივანე ბერიტაშვილისა და ილია ვეკუას სახელობის 15 სტიპენდიანტი დააჯილდოვა.

გრანტები ახალგაზრდა მეცნიერთათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება და პროგრამის ადმინისტრირებას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სამეცნიერო ფონდი უკვე მესამე წელია, ახორციელებს.

ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტების თითოეული პროექტის მაქსიმალური ოდენობა წელიწადში 15 000 ლარია. მეცნიერებს შესაძლებლობა ეძლევათ, ინდივიდუალური სამეცნიერო პროექტის ფარგლებში, ჩაატარონ კვლევები, მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა სახის საერთაშორისო ფორუმში, შეიძინონ სამეცნიერო და საოფისე აპარატურა და სხვ. 55 ახალგაზრდა მეცნიერის დაფინანსების მოცულობამ, 2008-2009 წ.წ., 726 065 ლარი შეადგინა.

ახალგაზრდა მეცნიერთათვის ივანე ბერიტაშვილისა და ილია ვეკუას სტიპენდიები 35 წლამდე ახალგაზრდა მეცნიერზე ერთი



წლის ვადით, ყოველთვიურად, გაიცემა (სტიპენდიის ოდენობა თვეში 200 ლარია). ამისთვის ბიუჯეტიდან 36 000 ლარი დაიხარჯა.

„ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ მეცნიერთა რიცხვი ყოველწლიურად იზრდება. წელს სამეცნიერო პროექტების დაფინანსება კიდევ უფრო გაიზრდება, რაც საქართველოს მეცნიერების განვითარებას შეუწყობს ხელს,“ – აღნიშნა მინისტრმა.

საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დირექტორმა,

ნათია ჯოხაძემ დამსწრე საზოგადოებას ფონდის საქმიანობის ამსახველი პრეზენტაცია წარუდგინა.

სახელმწიფო გრანტების კონკურსის შედეგად ფონდმა, 2006 წლიდან დღემდე, სულ 355 სამეცნიერო პროექტი, სხვადასხვა პროგრამებით კი 500-მდე კვლევითი პროექტი დააფინანსა.

2007-2008 წლებში, საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებული კონკურსების შედეგად, დაფინანსდა 92 ახალგაზრდა მეცნიერი, რაზეც სა-



ხელმწიფო ბიუჯეტიდან 1 218 610 ლარი გამოიყო.

საგრანტო დაფინანსების შედეგად უკვე 1700 -ზე მეტი მეცნიერი (სულ კი 3000-ზე მეტი ადამიანი) დასაქმდა.

სამეცნიერო კვლევებისთვის სახელმწიფო გრანტების დაფინანსების მოცულობა სახელმწიფოს მხრიდან 40 მილიონ ლარამდე გაიზარდა.

ლონისძიების ფარგლებში ბატონმა ნიკა გვარამიამ ახალგაზრდა მეცნიერებს საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრები წარუდგინა, რომლებიც საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადებში მიიღებენ მონაწილეობას. საქართველოს ნაკრები გუნდები ეროვნულ ოლიმპიადებში გამარჯვებული მოსწავლეებისგან დაკომპლექტდა. ზაფხულში ნაკრებების წევრები გაემგზავრებიან მექსიკაში, გერმანიაში და ბულგარეთში ფიზიკის, მათემატიკისა და ინფორმატიკის საერთაშორისო ოლიმპიადებზე მონაწილეობის მისაღებად.

წელიწადში ერთხელ საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადებისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების შერჩევის, მომზადებისა და მონაწილეობის ადმინისტრირება ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა განახორციელა.

წელიწადში ერთხელ საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადებისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების შერჩევის, მომზადებისა და მონაწილეობის ადმინისტრირება ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა განახორციელა.

ახალგაზრდა მეცნიერთა საზეიმო დაჯილდოებას ესწრებოდნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე ირინე ქურდაძე, მინისტრის მოადგილე ნოდარ სურგულაძე, გამომცემის ეროვნული ცენტრის დირექტორი მაია მიმინოშვილი, რუსთაველის ფონდის დირექტორი თინა ბოჭორიშვილი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ეროვნული სამეცნიერო ფონდის წარმომადგენლები.



კონფერენსია 161-ე სკოლაში



13 ივნისს, თბილისის 161-ე საჯარო სკოლაში, მასწავლებელთა კონფერენცია – „საგანმანათლებლო ტრადიციები საქართველოში“ – გაიმართა. კონფერენციაზე ამავე სკოლის პედაგოგებმა წარმოადგინეს ნაშრომები სხვადასხვა საგანმანათლებლო თემებზე: საგანმანათ-

ლებლო კერები საქართველოში; ქართველი საზოგადო მოღვაწეები და მათი როლი სწავლებაში და განათლებაში; მათი მიმართება; განათლების რეფორმის აუცილებლობა და მისი მიმდინარეობის ანალიზი; პოსტსაბჭოთა პერიოდი საქართველოს განათლების სისტემაში; ზო-

გადსაგანმანათლებლო სკოლების რეფორმის დღევანდელი მდგომარეობა და სხვ. კონფერენციას ესწრებოდნენ: განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე ირინე ქურდაძე და თბილისის სკოლების დირექტორები. კონფერენციაზე მოენყო გან-

ხილვები და შემუშავდა რეკომენდაციები. შიდასკოლო მასწავლებელთა კონფერენცია სკოლაში პირველად 2008 წლის დეკემბრის თვეში ჩატარდა. მასში ჩართული იყო 56 სხვადასხვა საგნის პედაგოგი (7 მომსხსენებელი), კონფერენციის

თემა იყო „სასკოლო რესურსები“. წელს მასწავლებელთა კონფერენცია სკოლაში მეორედ ჩატარდა და მასში 60 -ზე მეტი პედაგოგი მონაწილეობდა (12 მომსხსენებელი). სკოლა გეგმავს კონფერენციას სისტემატური ხასიათით მისცეს და წელიწადში ორჯერ ჩატაროს.

„მზეკაბანელი“ დასახულ მიზნებს უთუოდ მიაღწევს

კერძო სკოლა „მზეკაბანი“ ორი წლის წინ დაარსდა ქალაქ თერჯოლაში. თანამოაზრეებთან ერთად, სკოლის დამფუძნებლის – ნინელი გვენეტაძის მიზანი იყო, შეექმნა სკოლა, სადაც მოზარდი მხოლოდ ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის კი არ მოემზადება, არამედ ხარისხიან განათლებასთან ერთად გამოავლენს და განავითარებს იმ უნარ-ჩვევებსა და ინტელექტუალურ-შემოქმედებით პოტენციალს, რომელიც მას მემკვიდრეობით ერგო, იპოვის საკუთარ თავს, ჩამოყალიბდება მოქალაქედ და მზად იქნება მომავალი ცხოვრებისათვის.

ამ მიზნის მისაღწევად სკოლაში დაინერგა მოსწავლის შედეგებისა და ცოდნის ხარისხზე ორიენტირებული სწავლება.

II-IV კლასებში სწავლება საგნობრივია. გაღრმავებულად მიმდინარეობს ქართული ენის, მათემატიკის, უცხო ენების სწავლება.

X-XII კლასებში დაინერგა სააბიტურიენტო სწავლება.

გაკვეთილების შემდეგ ყველა მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობა მიმდინარეობს, საჭიროების მიხედვით.

მიღებული სასწავლო წლის განმავლობაში ეწყობა მუდმივი მონიტორინგი გაკვეთილებზე დასწრების, ჩათვლების, ტესტირების, ტრიმესტრული და წლიური გამოცდების საშუალებით, სასწავლო საგნებსა და ზოგად უნარებში. მოსწავლეთა ცოდნის ხარისხისა და სასწავლო უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით, სისტემატურად ტარდება საგნობრივი კონფერენციები, საღამოები, კონკურსები, ვიქტორინები. ფართოდ დაინერგა ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწავლება როგორც ცალკე საგნად, ასევე, სხვა საგნების ფარგლებში.

შედეგებიც სახეზეა. წარჩინებულ მოსწავლეთა რაოდენობა მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 89%-ია, მათ შორის პირველი ხარისხის წარჩინებული, ანუ ათოსანი – 74%.

კურსდამთავრებულთა შორის ოქროს მედლის მფლობელები არიან: გიორგი მუჟაგანაძე და ქეთევან ჩაფიძე; ვერცხლის მედლები დაიმსახურეს: შალვა ლოლაძემ, ნატო ქასრაშვილმა, ნანა გაბუნაძემ, თამარ გიორგაძემ და ფიქრია ბუსკივაძემ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სკოლის მოსწავლეთა შედეგები მოსწავლეთა 63-ე რესპუბლიკურ სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციაში.

პირველი ხარისხის დიპლომები დაიმსახურეს: XI კლასის მოსწავლემ, გიორგი გაბუნაძემ და X კლასის მოსწავლემ, ბონდო მახვილაძემ (პედაგოგები: მანანა წერეთელი და აზა მემანიშვილი).

მეორე ხარისხის დიპლომები და-



იმსახურეს XII კლასის მოსწავლეებმა: გიორგი მუჟაგანაძემ, ქეთევან ჩაფიძემ (ორ სექციაში), თამარ გიორგაძემ, ნანა გაბუნაძემ, ნათია გოგიაშვილმა, თამარ ჩაფიძემ, ნინო შალამბერიძემ, ირაკლი ამირანაშვილმა; X კლასის მოსწავლემ, ბონდო მახვილაძემ; IX კლასის მოსწავლეებმა: თამთა მაკარიძემ, თამარ მახვილაძემ (პედაგოგები: ირმა ლაფაჩი, სოფიკო ხაჭაპურიძე, ნინო ორაგველიძე, აზა მემანიშვილი, მანანა წერეთელი, თეა დოლაკიძე).

სიგელებით დაჯილდოვდნენ: XI კლასის მოსწავლე გიორგი მუჟაგანაძე, X კლასის მოსწავლე ბონდო მახვილაძე, IX კლასის მოსწავლე თამარ მახვილაძე და VIII კლასის მოსწავლე გიორგი დოლაკიძე (პედაგოგები: ზურაბ კუპატაძე, ნინო ორაგველიძე, ნორა ჩუბინიძე).

მადლობის ფურცლები დაიმსახურეს პედაგოგებმა: მანანა წერეთელი, აზა მემანიშვილი და სოფიკო ხაჭაპურიძემ.

ნორჩ მათემატიკოსთა მუნიციპალურ კონკურსში პირველი ადგილი მოიპოვეს: V კლასის მოსწავლემ, გიორგი გენაძემ, IX კლასის მოსწავლემ, თამარ მახვილაძემ; X კლასის მოსწავლემ, ბონდო მახვილაძემ; XI კლასის მოსწავლემ, ბაქარ კირკიტაძემ; XII კლასის მოსწავლემ, გიორგი მუჟაგანაძემ.

მეორე ადგილი დაიმსახურეს: XII კლასის მოსწავლემ, შალვა ლოლაძემ; XI კლასის მოსწავლემ, ნათია გოგიაშვილმა, VIII კლასის მოსწავლემ, გიორგი დოლაკიძემ (პედაგოგები: ზურაბ კუპატაძე, ირაკლი კუპატაძე, მანანა წერეთელი, ნინო ორაგველიძე).

აღნიშნულ შედეგებში ძალზე

დიდია საგნობრივი კათედრების როლი (ხელმძღვანელები მანანა წერეთელი, მანანა ბარათაშვილი, ნინო ორაგველიძე, თამარ დოლაკიძე, მერი ისაკაძე, დარეჯან გოგბერაშვილი). მათ მიერ ორგანიზებული საგნობრივი კვირეულები, დისკუსიები, ვიქტორინები, კონფერენციები ხელს უწყობს მოსწავლეთა ხარისხობრივი მაჩვენებლის ზრდას.

სასწავლო წლის განმავლობაში, კათედრების მიერ, ჩატარდა 25 საგნობრივი კონფერენცია, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო 15-მა მოსწავლემ და IV-XII კლასების 76-მა მოსწავლემ. მათივე ორგანიზებით, ჩატარდა 32 ლია გაკვეთილი, მათ შორის 14 – ინტეგრირებული.

მათემატიკის კათედრის (ხელმძღვანელი მანანა ბარათაშვილი) წევრთა საამაყოდ უნდა ითქვას რაიონული მათემატიკური კონკურსის – „პითაგორას“ – წარმატებული ჩატარება.

კონკურსში მონაწილეობა მიიღო რაიონის 10 საჯარო სკოლის 153-მა მოსწავლემ. დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდა 36 გამარჯვებული მოსწავლე.

კათედრა გეგმავს, აღნიშნული კონკურსი ტრადიციული გახდეს.

სკოლაში დიდი ყურადღება ექცევა მოსწავლეთა შემოქმედებითი აზროვნების, ინტელექტუალური პოტენციალის ზრდას.

სწავლების სამივე საფეხურზე მუშაობს ინტელექტუალები „ერისტიკა“ და „მოაზროვნე“.

მიმდინარე სასწავლო წელს კლუბის გამარჯვებული გუნდი გახდა „ახალგაზრდა ერუდიტი“, კაპიტანი – შალვა ლოლაძე.

კლუბის საუკეთესო მოაზროვნის ტიტული მოიპოვა VIII კლასის მოსწავლემ, ია დოლაკიძემ.

სკოლის ინტელექტუალთა კლუბი – „ცოდნის მეკობრეები“ – დაძაბულ ბრძოლაში გახდა რაიონული ინტელექტუალების – „უხილავი ხილული“ – ჩემპიონი.

„ცოდნის მეკობრეები“ ქალაქ ზესტაფონის ტელეკომპანია „არგოს“ მიერ ორგანიზებული ინტელექტუალური თამაშის ფინალის ტიტულებიც არიან და აქტიურად ემზადებიან ფინალური თამაშისათვის, რომელიც უახლოეს მომავალში გაიმართება ქალაქ ბორჯომში.

სკოლამ წარმატებას მიაღწია მოსწავლე ახალგაზრდობის მუნიციპალური ცენტრის მიერ ორგანიზებულ კონკურსებში – „ბუნება და ფანტაზია“ და „ქართული საგალობლები“ (პედაგოგები: დარეჯან გოგბერაშვილი და გულთამზე კუბლაშვილი).

თერჯოლის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ ორგანიზებულ ზღაპრების კონკურსში „იყო და არა იყო რა...“ პირველი ადგილი მოიპოვა IV კლასის მოსწავლემ, ნანო მაკარიძემ (პედაგოგი – ლალი კუპატაძე).

რესპუბლიკური ქორეოგრაფიული და მუსიკალური ფესტივალების ლაურეატები გახდნენ მოსწავლეები: ანი მიქაბერიძე, ლაშა გამეზარდაშვილი, ბექა ზარნაძე, არჩილ ჩაფიძე, ქრისტინე გენაძე, გიორგი გენაძე, ანი კირკიტაძე, ნათია მოსიაშვილი (პედაგოგები: გულთამზე კუბლაშვილი, ირინა ბუცხრიკიძე, გორჩა ჭანკვეტაძე).

დიდი ყურადღება ეთმობა მოსწავლეთა სულიერი კულტურისა და

მოქალაქეობრივი მრწამსის ჩამოყალიბებას, ცხოვრების ჯანსაღ წესთან ზიარებას. ამ მიმართულებით, პერიოდულად, ეწყობა მოსწავლეთა ნახატების გამოფენა (პედაგოგი – დარეჯან გოგბერაშვილი), სტუმრობა სამხატვრო გალერეაში, დრამატულ და თოჯინების თეატრში.

მოსწავლეთა ეროვნული სულისკვეთებით აღზრდის მიზნით, შესაბამისი ღონისძიებებით აღინიშნება ჩვენი ქვეყნის ისტორიის ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა, ეწყობა სასწავლო ექსკურსიები.

სკოლის ისტორიაში დაუეციყარი იქნება საღამოები – „... და კიდევ ერთხელ სიყვარულზე...“ და „ბოლო ზარი“. აღნიშნულმა საღამოებმა მაყურებლის დიდი სიყვარული და მოწონება დაიმსახურა.

თვალსაჩინოა სკოლის წარმატებები რაიონულ სპორტულ ჩემპიონატებში.

სკოლის მოსწავლეთა ნაკრები გახდა რაიონის ჩემპიონი შაშა და მაგიდის ჩოგბურთში. გუნდის წევრები: გიორგი მუჟაგანაძე, გიორგი ქასრაშვილი, თამარ ჩაფიძე, ანა ამირანაშვილი; მკლავჭიდი პირველი ადგილი მოიპოვა შაქრო კირკიტაძემ, ხოლო საპრიზო ადგილები ჭადრაკში დაიკავეს: ზურაბ მაკარიძემ, ბონდო და თამარ მახვილაძეებმა; მკლავჭიდი – ონისე კუბლაძემ.

შემოდ წამოთვლილ წარმატებებში განუზომელია სკოლის თითოეული პედაგოგის წვლილი.

სკოლა დაკომპლექტებულია მაღალპროფესიული პედაგოგებით.

ურთიერთსწავლება, რაიონული და სასკოლო ლია გაკვეთილები, შიგა და გარე ტრენინგებში მონაწილეობა, მეთოდური მასალების სისტემატური გაცნობა პედაგოგებს პროფესიული მომზადებასა და განვითარებაში ეხმარება.

საფუძველი ჩაეყარა მოსწავლეთა და მასწავლებელთა სტიმულირებისა და სახალისების ტრადიციას. უკვე მეორე წელია, სასწავლო წლის ბოლოს გამართულ საზეიმო საღამოზე საპატიო სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით ჯილდოვდება ყველა ის მოსწავლე და მასწავლებელი, ვისი წვლილიცაა სკოლის წარმატებებში.

განუვლი მუშაობა, სკოლაში არსებული უსაფრთხო, მშვიდი, დემოკრატიული, ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული გარემო, სადაც ყველა პირობაა შექმნილი მოსწავლეთა და მასწავლებელთა განვითარებისათვის, იძლევა იმის იმედს, რომ „მზეკაბანელები“ დასახულ მიზნებს უთუოდ მიაღწევენ.



ბასვლითი პროგრამის ებილით

28-30 მაისს, ასოციაცია „მცოდნეების“ პრეზიდენტის, **მეგი ქურდაძის** ინიციატივით, გაცვლითი პროგრამის ეგიდით, მინვეული ვიყავი ბათუმის კერძო სკოლა „იმედი“.

პირველ სამუშაო დღეს დავესწარით პირველკლასელთა მიერ მომზადებულ ლიტერატურულ-მუსიკალურ კომპოზიციას „აი ია, აი შენი დედაა“, დღის მეორე ნახევარში სკოლის დანაწილებით კლასების პედაგოგებთან ღონისძიებების დაგეგმვასა და ჩატარებაზე ვისაუბრეთ, გავცვალეთ სცენარები, ერთმანეთს მუშაობის პერიოდში მიღებული გამოცდილება გავუზიარეთ.

29 მაისს ჩავატარე ჯგუფური გაკვეთილი მათემატიკაში თანამედროვე მიდგომებისა და სტრატეგიების გამოყენებით. გაკვეთილის ბოლოს, პირველკლასელთა ტესტური გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ პირველი კლასის პედაგოგები – **სოფო გობრონიძე** და **სალომე ხემერი** – სასწავლო წლის ბოლოს კარგ შედეგზე გავიხარეთ.

ქართული ენის გაკვეთილის ჩატარებისას გამოვიყენე ვენის დიპლომა და ბლუმის ტაქსონომია, რომელიც მასწავლებელს მოსწავლეთა აზროვნების უნარის დონეების გააზრებაში ეხმარება. გაკვეთილს ესწრებოდნენ მშობლები, დანაწილებით კლასების პედაგოგები და სკოლის დირექტორი. ჩვენი სტუმრობა ფართოდ გააშუქა აჭარის ტელევიზიამ. მონიბლული დავრჩი სკოლა



ტარებისას გამოვიყენე ვენის დიპლომა და ბლუმის ტაქსონომია, რომელიც მასწავლებელს მოსწავლეთა აზროვნების უნარის დონეების გააზრებაში ეხმარება. გაკვეთილს ესწრებოდნენ მშობლები, დანაწილებით კლასების პედაგოგები და სკოლის დირექტორი. ჩვენი სტუმრობა ფართოდ გააშუქა აჭარის ტელევიზიამ. მონიბლული დავრჩი სკოლა

„იმედის“ დირექტორის, **ქეთევან გოშხთელიანის** დაუცხრომელი ენერჯითი, მისწრაფებით – პირველმა დანერგოს სკოლაში სწავლების ახალი, თანამედროვე ინტერაქტიური მეთოდები, მიაწოდოს მასწავლებლებს სავალდებულო ეთიკური ნორმები, ჰყავდეს საუკეთესო კვალიფიციური კადრები, ჰქონდეს სუფთა, გემოვნებით მოწყობილი კომპიუტერებით აღჭურვილი სასწავლო კლასები.

მადლობას ვუხდით ასოციაცია „მცოდნეების“ პრეზიდენტს, **მეგი ქურდაძეს**, რომელმაც საშუალება მომცა, გამეცნო და მეთანამშრომელა კოლეგებთან, რომლებმაც უდიდესი სითბო და ყურადღება გამოიჩინეს.

საქართველოში განათლების სისტემის რეფორმა სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია და მის წარმატებით განხორციელებაზე ბევრად დაამოკიდებული საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ფორმირება. ასოციაცია „მცოდნეები“ მიმდინარე

რეფორმაში აქტიურადაა ჩართული და თავისი საქმიანობით ცდილობს, წვლილი შეიტანოს როგორც ახალბედა, ისე გამოცდილი პედაგოგების უკეთ მომზადებასა და რეფორმასთან ადაპტირებაში – აწყობს შეხვედრებს, დისკუსიებს, ტრენინგებს, საქართველოს მასშტაბით.

ასევე, მადლობას ვუხდით 158-ე საჯარო სკოლის დირექტორს, **ნატო გოჩალაშვილს**, რომელმაც დროულად უზრუნველყო ჩვენი სკოლის პედაგოგებისათვის ტრენინგების – „სწავლების თანამედროვე მიდგომები და მათი პრაქტიკული გამოყენების გზები“ ჩატარების უზრუნველყოფა.

გამოცდილებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაზიარების მიზნით ბათუმში სტუმრობა სხვა სკოლებთან თანამშრომლობის პირველი და სასარგებლო მცდელობა იყო.

ლელი ანთაძე

158-ე საჯარო სკოლის დანაწილებით კლასების მასწავლებელი

„ზნეობათა განსაზღვრელი“

115-ე სკოლა (დირექტორი – **ზვიად ქადაგია**) ცნობილია მრავალფეროვანი ღონისძიებებით, რომლებიც სკოლაში სიახლის დაწერვას ემსახურება.

„ადამიანის გონებას თეატრალურ სანახაობაზე უფრო კეთილშობილი და სასარგებლო არაფერი გამოუგონია, როგორც სრულქმნილს, ისე ზნეობათა განსაზღვრელად“ – უთქვამს ვოლტერს. ეს კარგად აქვს გათავისებული თეატრალური ხელოვნების პედაგოგს, **ლია ჩაკვეტაძეს**, რომლის ხელმძღვანელობით XI^ე კლასის მოსწავლეებმა **ლაშა თაბუკაშვილის** ცნობილი პიესა „დარბაზის მიღმა გაზაფხული“ დადგეს. აღსანიშნავია, რომ სპექტაკლი წარმოდგენილ იქნა აკაკი ხორავას სახელობის მსახიობთა სახლის სცენაზე.

პატარა მსახიობებმა თავიანთი თამაშით გააოცეს დარბაზში მყოფი საზოგადოება, მსახიობის ხელოვნების წარმოჩენაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. განსაკუთრებით აღსანიშნავია კოკას როლის შემსრულებელი – **სოსო ზახტაძე** და ნინიკოს როლის შემსრულებელი – **ცია ფიფია**. დიდი მონონება დაიმ-



სახურა ელენეს (ბებიის) როლის შემსრულებელმა – **სოფო აბუაშვილმა**. საოცრად კომიკური და გამორჩეული სახეები შექმნეს **სალომე კუბლაშვილმა** და **ვახო ძიგავამ**, რომლებიც ლენას და კირილეს როლებს ასრულებდნენ.

ასევე კარგად ითამაშეს დედის როლის შემსრულებელმა – **სოფო ჯავახიძემ** და მეგობრების – ბად-



რისა და გელას როლების შემსრულებლებმა – **თედო ბილიხიძემ** და **ლაშა ხართიშვილმა**.

მაყურებელი ბავშვებთან ერთად ტიროდა და იცინოდა.

სპექტაკლის დასრულების შემდეგ, მოსწავლეებმა მადლობა გადაუხადეს აკაკი ხორავას სახელობის მსახიობთა სახლის დირექტორს, **მანანა ოკუჯავას**, რადგან

სწორედ მისი უანგარო დახმარებით შეძლო სკოლამ ამ სპექტაკლის სცენაზე განხორციელება და ფართო საზოგადოების წინაშე განსასჯელად წარდგენა.

ამ დღემ აჩვენა, რამდენად მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიმდინარე რეფორმა, რადგან სწორედ აქედან გამოიძინა იქნა შემოტანილი სკო-

ლებში ისეთი საინტერესო საგანი, როგორც თეატრალური ხელოვნება. ეს დღე დიდხანს ემახსოვრებათ პატარა მსახიობებსა და მაყურებელს.

ლია კვიციანი

დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში

„შეხვედრა შექსპირთან“

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელოვნების სკოლის საკონცერტო დარბაზში ანდრია ბენაშვილის სახელობის ინგლისური პროფილის თბილისის და დედოფლისწყაროს სკოლების დირექტორმა **ცაცა ბენაშვილმა** უაღრესად საინტერესო პროექტი – „შეხვედრა შექსპირთან“ წარმოგიდგინა, რომელშიც მონაწილეობდნენ დედოფლისწყაროს სკოლის ყველა კლასის და თბილისის სკოლის IX-X კლასის მოსწავლეები. პროექტის მხარდამჭერები იყვნენ: დედოფლისწყაროს ანდრია ბენაშვილის სახელობის ინგლისური პროფილის სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე, ღირსების ორდენის კავალერი **სვეტლანა შალვაშვილი**, მენეჯერი **ლალი აზარიაშვილი**, მუსიკის მასწავლებელი **ლია ჩოქური**, ქორეოგრაფი **თეა რუხაძე**, ინგლისური ენის პედაგოგი **გულნარა ხუციშვილი**, თბილისის სკოლის ქართული ენა-ლიტე-

რატურის პედაგოგი **ციური ბენაშვილი** და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი **მანანა არევაძე**.

„თქვენ წინაშე, ჩვენ, ანდრია ბენაშვილის სახელობის ინგლისური პროფილის ორივე სკოლის მოსწავლეები და „შექსპირის კლუბის“ წევრები ვართ. ჩვენთან გაღრმავებული იქნა ისწავლება ინგლისური ენა და ლიტერატურა, ინგლისის ისტორია, ხელოვნება და კულტურა. ინგლისური ენა ხომ ძირითადი საერთაშორისო ენაა. ამიტომ გვინდა, სრულყოფილად შევისწავლოთ იგი. ეს პროექტი – „შეხვედრა შექსპირთან“ ემსახურება დიდი ინგლისელი კლასიკოსის უილიამ შექსპირის შემოქმედების უკეთ გაცნობას“ – ამ სიტყვებით მიმართა დედოფლისწყაროს სკოლის წარჩინებულმა მოსწავლემ **მაგდა ბენაშვილმა** დამსწრე საზოგადოებას. მარიამ ჯანაშვილმა შექსპირის ბიოგრაფია

გაგვაცნო, **ეკა ზურაშვილმა** კი შექსპირის ქართულად თარგმანში ილია ჭავჭავაძის და ივანე მაჩაბლის დიდ ღვაწლზე ისაუბრა. „მეფე ლირის“ და „ჰამლეტის“ ტრაგიკული ცხოვრება და მასში დასმული საკაცობრიო პრობლემები **ნიკა ხარბეზაშვილმა** გადმოგვცა. **ბექა ტატიანაშვილმა**, **მარიამ** და **მიშკო ბენაშვილებმა** „მეფე ლირიდან“ **თორნიკე გიგაურმა** და **მთვარისა ონანაშვილმა** კი „ჰამლეტიდან“ ნაწყვეტები წარმოადგინეს. განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა **ანა სიმონიშვილმა**, რომელმაც გიტარაზე შესანიშნავად შეასრულა სიმღერა მხატვრული ფილმიდან „რომეო და ჯულიეტა“.

შექსპირის სონეტები ინგლისურ და ქართულ ენაზე მხატვრულად წაიკითხეს: **მარიამ ბენაშვილმა**, **მარიამ ჯანაშვილმა**, **თეონა ქადაგიძემ**, **ანი ალუღიშვილმა**, **მაგდა ზალდასტანიშვილმა**.

„ზაფხულის ღამის სიზმარზე“, რომლის სცენაზე დადგმასაც აპირებენ თბილისელი მოსწავლეები, ისაუბრეს: **ლელა სინარულიძემ**, **მეგი ოქიტაშვილმა**, **მათე თევზაძემ**, **გიორგი ნათენაძემ** და **ნინო დემურიშვილმა**.

მშვენიერი ინგლისური საყმანვილო ლექსები და სიმღერები შემოგვთავაზეს დანაწილებით კლასის მოსწავლეებმა: **ნია მელაშვილმა**, **გიორგი პოპიაშვილმა**, **ნიკა მჭედლიშვილმა**, **ნატო ჯინაშვილმა** და **ნინო ცისკარაშვილმა**.

ყველაზე ხალისიანი კი სკოლის მოსამზადებელი კლასის აღსაზრდელთა გამოსვლა იყო. სამეჯლისოდ გამოწყობილი გოგო-ბიჭები – **სალომე შალვაშვილი**, **ნატალი ალუღიშვილი**, **გურანდა მადარაშვილი**, **თეკლა გიგლაშვილი**, **მერი ზურაშვილი**, **ნათია სესიტაშვილი**, **ანა თედევა**, **ლუკა თავაძე** ინგლისურ ენაზე შესრულებული სიმღერებით და ლექსებით

თავს აწონებდნენ მაყურებლებს, რომელთა უმრავლესობას მათი მშობლები, ოჯახის წევრები და პედაგოგები წარმოადგენდნენ, რადგან, როგორც დირექტორმა **ცაცა ბენაშვილმა** ბრძანა, ეს თეატრალიზებული სანახაობა სწორედ მშობლებისთვის იყო განკუთვნილი – როგორ ეუფლებიან მათი შვილები წლის განმავლობაში უცხო ენას. ეს იყო ერთგვარი შემაჯავებელი გაკვეთილი, წარმოდგენილი შოუს სტილში.

დარბაზი ოვაციებს ვერ ფარავდა და თითოეული მოსწავლის მიერ შესრულებულ ნომერს მკუხარე აპლოდისმენტებით ხვდებოდა.

ხელოვნების სკოლის დირექტორმა **აკაკი მერაბიშვილმა** მადლობა გადაუხადა პროექტის ავტორს **ცაცა ბენაშვილს**, მხარდამჭერებს და ყველა მონაწილეს ამ შთამბეჭდავი ღონისძიების გამართვისათვის.

მარიამ კოპიაშვილი

აფხაზეთის N10 საჯარო სკოლა – რეფორმის კვალდაკვალ

აფხაზეთის №10 საჯარო სკოლაში (დირექტორი – ნუგზარ ჯომიდავა, მოადგილე – დარეჯან ლემონჯავა) ხშირად ტარდება საინტერესო, შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებები მოსწავლეთა მონაწილეობით. მიმდინარე წლის 8 ივნისს ანა კალანდაძისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა. სააქტო დარბაზში მოსწავლეები და პედაგოგები ჩვეული მონდომებით ტრიალებდნენ, მაგიდებზე შანდლებს დგამდნენ და ყვავილებს აწყობდნენ... სწორედ ამიტომ, სანთლის შუქით ნახევრად განათებულ დარბაზში „ყვავილების მდინარე“ ჩამოდიოდა. სცენაზე განსაკუთრებული ადგილი პოეტი ქალის ვარდისფერ მანტიას და ყვავილებით მორთულ სურათს დაეკავებინა.

ანა კალანდაძის პოეზიამ იმთავითვე მიიპყრო ყურადღება ლექსის სინატიფითა და პოეტური აზროვნების მაღალი კულტურით. ქართველ პოეტ ქალთაგან ანა კალანდაძის პოეზია ყველაზე მეტად აისახება მუსიკალურ ხელოვნებაში, რადგან მან სამოღვაწეო ასპარეზზე გამოჩენისთანავე მიიპყრო განსაკუთრებული ყურადღება საკუთარი, ორიგინალური ხელნერით.

ანას პოეზიამ კიდევ ერთხელ ჩააფიქრა სტუმრები და მონაწილეები: რისთვის იბადება ადამიანი? რისთვის ცოცხლობს? რისთვის კვდება? რა არის ყველაზე ღირსეული და საჭირო, რომ ადამიანმა ამქვეყნად მოსვლა გაამართლოს?



მოსწავლეები ორი საათის განმავლობაში შესანიშნავი არტისტიკით კითხულობდნენ ლექსებს და უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინეს დამსწრე საზოგადოებაზე – მშობლებსა და პედაგოგებზე.

აღსანიშნავია, რომ სკოლის დირექცია მუდმივად ზრუნავს შედე-

გის მიღწევისათვის აუცილებელი, კომფორტული სასწავლო გარემოს შექმნაზე როგორც მოსწავლისთვის, ასევე მასწავლებლისთვის. დირექტორის, ნუგზარ ჯომიდავას ძალისხმევით, სკოლაში ბევრი რამ უკეთესობისაკენ შეიცვალა. ეზოში შესვლისთანავე თვალში გვხვდება ლამა-

ზი ყვავილნარი, იქვეა ღია სპორტული მოედანიც, რომელიც მუდამ მოსწავლე ახალგაზრდებთანაა საესე. სკოლა აქტიურადაა ჩაბმული საზოგადოებაში და რესპუბლიკურ ტურნეებში. მოსწავლეები მონაწილეობენ კონკურსებსა და ოლიმპიადებში. ტარდება კონფერენციები და ტეს-

ტირებები. გამარჯვებულებს სკოლის დირექცია დიპლომებითა და სიგელებით აჯილდოებს; 15 ათოსან მოსწავლეს პრეზიდენტის საჩუქარი – კომპიუტერი გადაეცა. მოსწავლეები თექაზე მუშაობის ხელოვნებას ეუფლებიან. 2007 წელს, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე, ინგლისურ ენაში №10 საჯარო სკოლის ერთ-ერთმა კურსდამთავრებულმა, თამაზ პერტაიამ 100 ქულა მოიპოვა.

აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრის, ბატონ ალექსანდრე აბლაკოვის მხრიდან სკოლა მუდმივად გრძნობს ყურადღებას. განათლების ტერიტორიული წარმომადგენლობისა და საინფორმაციო მართვის სამმართველოს უფროსის, ქალბატონ მანანა ქვაჩახიას, მთავარი სპეციალისტების: ქალბატონ მედიკო კვარაცხელიასა და ბატონ ირაკლი გელენავას ძალისხმევით დირექცია მარაგდება სათანადო წიგნებით, ჟურნალ-გაზეთებით, სპორტული ინვენტარით და საერთოდ ყველაფრით, რისი შესაძლებლობაც მათ აქვთ. მაისის თვეში სკოლას საჩუქრად 2 საკერავი მანქანა გადაეცა. წინ ძალიან საინტერესო გეგმები აქვთ. მაგალითად, სექტემბრიდან მოსწავლეებისთვის ჭრა-კერვის კურსების გახსნას აპირებენ. ამ ადამიანების შრომა და ამაგი, რა თქმა უნდა, დასაფასებელია.

ასმათ შაშუში



კვალი ნათელი

მეოთხედი საუკუნე ახალგაზრდობის აღზრდის სამსახურში



ჯოჯოლა ვარლამის ძე ქათამაძე ტყიბულის რაიონის სოფელ ახალსოფელში დაიბადა 1932 წელს. 8-წლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ ამავე რაიონის სოფელ ცუცხვათის საშუალო სკოლაში გააგრძელა სწავლა. სკოლის დამთავრებისთანავე ჩაირიცხა ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო ტყიბულის №1 საშუალო სკოლაში ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებლად, 1960 წლიდან – სკოლის დირექტორის მოადგილედ სანარმოო სწავლების დარგში, 1967 წლიდან – ორგანიზატორად კლასგარეშე და

სკოლისგარეშე მუშაობის დარგში. პარალელურად, სწავლას აგრძელებდა ქუთაისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე. ახალი პროფესიითაც იმუშავა, მაგრამ გულმა ისევ სკოლისკენ გაუნია და 1979 წლიდან კვლავ მშობლიურ – №1 საშუალო სკოლას დაუბრუნდა, ჯერ ფიზიკის მასწავლებლად, შემდეგ დირექტორის მოადგილედ კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის დარგში. 1983 წლიდან 2006 წლამდე სათავეში ედგა ამავე სკოლას. მისი დირექტორობის 23-წლიანი პერიოდი ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელია საუკუნოვანი სკოლის ის-

ტორიაში. ბატონი ჯოჯოლა, თითქმის მეოთხედი საუკუნის განმავლობაში, მრავალი ახალგაზრდისთვის იყო მაგალითი, მრავალი გზასაცდენილი დააყენა ცხოვრების სწორ გზაზე. ხანგრძლივი პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე მისი დამსახურება მოსწავლეს ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში არაერთი ჯილდოთი აღინიშნა. ყველაზე მეტად „ღირსების ორდენით“ ამაყობდა, თუმცა, ყველაზე ძვირფასი მისთვის მაინც მისი აღზრდილები იყვნენ.

ტყიბულის №1 საჯარო

ტურნირის – „სკოლბურტი“ ფინალური შეხვედრები გაიმართა



წელს ტურნირი „სკოლბურტი“ 21 აპრილს დაიწყო და ტრადიციულად ბათუმში დასრულდა. საფეხბურთო ტურნირი მოსწავლეთა შორის, საქართველოს მასშტაბით, უკვე მესამე წელია ტარდება. 2009 წელს სკოლბურტი 1500-ზე მეტი სკოლა და 8000-მდე მოსწავლე იყო ჩართული თბილისიდან, ქუთაისიდან, ონიდან, ბათუმიდან, ბოლნისიდან, ახალციხიდან, ხაშურიდან, მცხეთიდან, გურჯაანიდან, ჩხოროწყუდან, წალენჯიხიდან და ოზურგეთიდან.

ნახევარფინალში ბოლნისის, მცხეთის, წალენჯიხისა და ჩხოროწყუს გუნდები შეერკინენ ერთმანეთს, ფინალში კი წალენჯიხა და ჩხოროწყუ გავიდა. საბოლოო გამარჯვება და ჩემპიონის ტიტული

წალენჯიხის რაიონის სოფელ ლიას საჯარო სკოლაში მოიპოვა. გამარჯვებული გუნდი საერთაშორისო საფეხბურთო ფესტივალზე გაემგზავრება, რომელიც წელს თურქეთში გაიმართება. ტურნირის ორგანიზატორები იყვნენ: საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო. ტურნირი უშუალოდ განახორციელა „საქართველოს ეზოს ფეხბურთის ასოციაციამ“.

„სკოლბურტი“ არის პროექტი, რომელმაც ასობით პატარა ფეხბურთელი სპორტული ჟინით გააერთიანა. „სკოლბურტი“ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

აფინანსებს და იგი მომავალშიც გაგრძელდება. **არჩილ გაგნიძე**, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე: „განათლების სამინისტროს პრიორიტეტულია როგორც მოსწავლის გონებრივი განვითარება სასკოლო გარემოში, ასევე მისი ფიზიკური განვითარება და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება.“



ტანმოვარჯიშითა პირველობა

ამ დღეებში, თბილისში, ახალგაზრდა ტანმოვარჯიშითა დედაქალაქის პირველობა დამთავრდა, სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში. სპორტულ ტანვარჯიშში გოგონებში ჩემპიონი **თამარ გელდიაშვილი** გახდა, რომელმაც დები – **მარიამ და ნინო ტატიშვილები** ჩამოიტოვა. ვაჟებში ოქრო **ბიძინა სიჭინავამ** მოიპოვა, მეორე და მესამე ადგილები კი **ივანე ჯიმშელეიშვილმა** და **ლევან მსხილაძემ** გაინაწილეს.

მხატვრულ ტანვარჯიშში, 13-15-წლიანებში, ყველაზე უკეთ **მედეა გათენაძე** გამოვიდა, ვერცხლი **სალომე ბურდილაძე** ირგუნა, ბრინჯაო – **თამუნა ჩხიკვაძე**.

11-12-წლიანებში ჩემპიონობა, ერთ-ერთმა ყველაზე ნიჭიერმა წარმომადგენელმა, **გაბრიელა (გაბი) ხვედელიძემ** იხი-

მა, რომელმაც საგრძნობლად ჩამოიტოვა **სოფიო ფარულავა** და **თამუნა კობალაძე**.

ყველაზე უმცროსებში – 10-წლიანებში, **ლალი კენკივილი** მა გამარჯვდა, მომდევნო ადგილებზე კი **ნინო ყურაშვილი** და **ლიკა ჯიბლაძე** გავიდნენ. მედალოსნები პარაფიუმერულმა ქსელმა „ლუტეცია“ საკუთარი ნაწარმით დააჯილდოვა.

ჭაპუკაშის პირველი გამომცდა

26-28 ივნისს, სლოვენის ქალაქ კოპერში, ჭაპუკ ძიუდოსიტა ევროპის ჩემპიონატი ჩატარდება, რომელშიც საქართველოდან **ლაშა კვირიკაშვილი** (50 კგ.), **ლუხუნ ჩხვილიანი** (55 კგ.), **ბექა ტულუში** (60 კგ.), **ირაკლი ლომიძე** (66 კგ.), **ბაჩანა ტიტინიძე** (73 კგ.), **ლევან რუაძე** (81 კგ.), **ელგუჯა ბიბილაშვილი** (90 კგ.), **გიორგი ზაქარიაძე** (90 კგ. ზევით) იჭიდავებენ.

ასაკობრივი ზღვარის გამო, წლეულს ეს გუნდი მთლიანად გადახალისდა – შარშანდელი შემადგენლობიდან მხოლოდ რუაძე და ლომიძე დარჩნენ, თუმცა იმათაც თითო წონითი კატეგორიით მაღლა გადაინაცვლეს. ამის მიუხედავად, საერთაშორისო ტურნირების გამოცდილება მაინც აქვთ, დანარჩენები კი ამ რანგის შეჯიბრებაში პირველად იჭიდავებენ. ყველა მათგანს სპეციალისტები პერსპექტიულად კი მიიჩნევენ, მაგრამ გამოცდილობის გამო, ამჯერად ნაკრების შანსებზე მწვრთნელები შედარებით ფრთხილად ლაპარაკობენ.

ამ ნაკრების რვავე წევრი საქართველოს ჩემპიონია, თუმცა ევროპის ჩემპიონატზე გამოსასვლელად მხოლოდ ეს წარ-

მატება საკმარისი არ იყო – სამისოდ მოგვიანებით საერთაშორისო ტურნირებშიც გვარიანი გარჯა დასჭირდათ. იმედია, სლოვენიაშიც გვასახელებენ.

მოჭიდავეთა შიგნითა ბაარკვიმს

ევროპის ჩემპიონატისთვის ჭაბუკ მოჭიდავეთა ნაკრებშიც ემზადებიან. კონტინენტის პირველობაზე ისინი ოდნავ მოგვიანებით – 21-26 აგვისტოს იჭიდავებენ სერბულ ზრენო-ჯანიში, მიუხედავად იმისა, რომ იქამდე ჯერ საკმაოდ შორია, მწვრთნელებმა აქედანვე დაიჭირეს თადარიგი და შემადგენლობები უკვე დასახელეს. ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებში **შმაგი ბოლქვაძე** (42 კგ.), **ამირან შვახაძე** (46 კგ.), **თორნიკე მახარაძე** (50 კგ.), **აბესალომ ქათამაძე** (54 კგ.), **ფიროზ ნულუკიძე** (58 კგ.), **ლერი კაჭკაჭიშვილი** (63 კგ.), **ლაშა გობაძე** (69 კგ.), **ლაშა დოლიძე** (76 კგ.), **დავით ჩაკვეტაძე** (85 კგ.) და **გიორგი ხუბაშვილი** (100 კგ.) იჭიდავებენ, თავისუფალი სტილით – **ბექა ბუჯიაშვილი** (42 კგ.), **ლაშა ტალახაძე** (46 კგ.), **აკაკი მონონელიძე** (50 კგ.), **ზურაბ იაკობაშვილი** (54 კგ.), **ლევან ქელესაშვილი** (58 კგ.), **კონსტანტინე საბალაშვილი** (63 კგ.), **ალექსანდრე ჯაჭავაძე** (69 კგ.), **ალექსანდრე ამინაშვილი** (76 კგ.), **ლევან გოგრიჭიანი** (85 კგ.) და **ომარ გუსოშვილი** (100 კგ.). ახლა ეს გუნდები ირანში იმყოფებიან, სადაც ამ უქმეებზე ქალაქ რაშთში გამართულ საერთაშორისო ტურნირში, „ბავშვთა დღე“ – იჭიდავებენ.

რუბრიკას უძღვება **ირაკლი თაყაიძე**

ახალი ტანათლეტა
მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: ტატილაშვილის №3 ტელ.: 95-80-23, 890 958023, 855 411668, 855 178027.
www.axaliganatleba.ge E-mail: axaliganatleba@gmail.com, ganatleba@mail.ru
რეგისტრაციის № 2/4-1609, ინფორმაცია ხელმოწერისთვის: 76096
გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უპრუნდებათ.

რედაქციის რეკვიზიტები:
საპარტოველო ბანკი
ზ/კ 220101502,
ს/კ 202058735,
ა/ა 123631000